სარჯიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 ივლისი 2006 №164 (2786) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნისელებმა დასაშვები გაუშვეს, თავისი გაიტანეს

ბაქო ქარების ქალაქია: გაჯიევის მუჭარა ქარმა წაიღო



ქართველებმა ლონიერი მეტოქე მოჩეხეს

სანიკიძემ ქალიან ივიქტორა 35!

საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები აღარ ხუმრობს. თუ ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე გამგზავრების წინ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა ამბობდა, A დივიზიონში ანაცვლების პრეტენზია არ გვაქვსო, ახლა ელიტამდე ორი ნაბიჯიღაა დარჩენილი.

პირველი ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ, გუშინ დავით უსტიაშვილის შეგირდებმა მეორე ეტაპზე პირველივე მეტოქე, ჩეხეთის საკმაოდ მძლავრი ნაკრები დაამარცხეს. მატჩის გმირი ვიქტორ სანიკიძე გახდა, რომელმაც 35 ქულა ხომ ჩაუგდო ჩეხებს და, დაცვაშიც დიდებულად ითამაშა.

ქართველები დღეს უკრაინელებს ეთამაშებიან, ხვალ კი პოლონელებს და ამათგან ერთსაც თუ მოუგეს, ნახევარფინალში გავლენ.

ნახევარფინალის მოგება კი A დივიზიონში გადასვლას ნიშნავს.

ჩიხრაძე, ფაქტობრივად, ფაქტობრივია

საქართველოს ნაკრებს პრაქტიკოსი მეკარე ეყოლება

8

დონადონი ამერიკის პრეზიდენტებზე დიდია

მე ვიქნები ჩემებური ლიპი



მუნდიალტრიუმფატორ იტალიის ნაკრებს თბილისში რომ „მილანისა“ და „სკუადრა აძურას“ ვარსკვლავთყოფილი რობერტო დონადონი ჩამოუძღვება, ეს უკვე იცით. გუშინ დონადონი ოფიციალურად დაინიშნა იტალიელთა მესაჭედ და მედიასაც წარუდგინეს.

„ნაკრებში მუშობა ჩემთვის დიდი ჯილდოა და ძალას არ დავაკლებ წარმატების მისაღწევად. მარჩელო ლიპისთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ აუცილებლად შევხვდები. მშვენივრად ვიცი, რა დონის სპეციალისტის მემკვიდრეობა მერგო და მის საქმეს ჩემებურად გავაგრძელებ, ოღონდ, ნაკრების კონცეფციას არ დავარღვევ“ — განაცხადა დონადონიმ.

ფრანჩესკო ტოტი — მთელ იტალიას აინტერესებს, დარჩება თუ არა იგი ნაკრებში. ტოტი ყოყმანობს, დონადონი კი ამბობს: „ფრანჩესკო ის ფეხბურთელია, რომელიც ყველა გუნდს მოუხდება. მე მას ველაპარაკე და დავრწმუნდი — ტოტი მჭირდება“.

ლიპის მემკვიდრე გაბედული კაცი ჩანს, ყოველთვის ვიცოდი, რა მინდოდა ფეხბურთელებისგან და როგორი გუნდი უნდა დამეყენებინა მათგანო. დონადონი არც „სკუადრას“ ზოგიერთი ფეხბურთელის სერია B-ში შესაძლო გადაბარგებას უფრთხის, თუ მოთამაშე ნაკრებში მოწვევას იმსახურებს, A-ს და B-ს დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებო.

დონადონის დანიშვნას ზოგიერთები სკეპტიკურად შეხვდნენ. ისინი მწვრთნელის ახალგაზრდულ ასაკზე მიუთითებენ, მაგრამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გვიდო როსის „რკინის ლოგიკა“ ნახეთ...

„მათ, ვინც დონადონის ახალგაზრდულ ასაკს ახსენებს, ასე ვუპასუხებ — ამერიკის შეერთებულ შტატებს რობერტოზე უმცროსი ორი პრეზიდენტი ჰყოლია...“

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ბაკის მარწუხები წუხილებით დამთავრდა

სიონმა აზერბაიჯანს გაუძლო

ბაქო. 18 ივლისი. 18.00 საათი. ტოფიქ ბახრამოვი. 7 700 მაყურებელი

ბაკი 1:0 *სიონი* (2:0)

1:0 ფ. გულიევი (63)

ბაკი:	სიონი:
დიალო ლადაგა, აბდულაევი, რ. გულიევი, მეგრელაძე (ფ. გულიევი 46), სულთანოვი, აბასოვი, იოვანიჩი, იონესკუ, მალიკოვი (ამირბაევი 46), ანგურა	ბათიაშვილი, კობაური (ალავიძე 29), ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, ფრიდოლინი, რაქვიაშვილი, უგრეხელიძე, შავგულიძე, ბაჯელიძე (ზ. ჭელიძე 46), ქუცურუა (ევოჩე 77), ჩასემი
სათადარიგონი: მირზაევი; ხალილოვი, ამირასლანოვი	სათადარიგონი: ბობღიაშვილი; სვანიძე, ქარდავა, მიკუჩაძე
მწვრთნელი: ბოიუკაგა გაჯიევი	მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ბანგურა (16), კობაური (24), ალავიძე (47)

მსაჯები: სერგეი ბერიოზკა (უკრაინა)

დავით თავართქილაძე ბაქოდან

ბოლნისის „სიონი" ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზეა. რაც არ უნდა მოხდეს, „სიონის" და ბულგარული „ლევსკის" დაპირისპირებაში, უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ კახა ცხადაძის გუნდმა წლევანდელ ევროსარბიელზე წარმატებით ითამაშა, მოუგო გუნდს, რომლის წლიური ბიუჯეტი 5-6 მილიონი დოლარია.

„ტოფიკ ბახრამოვზე" პოლიციელები თამაშამდე ორი საათით ადრე მოგროვდნენ, აქვე იყო შინაგანი ჯარიც რამდენიმე შაშხანიანი ჯარისკაცით. საბჭოეთისას მერვე პოლკი რომ განთავსდებოდა ხოლმე პირველ რიგში, აი, ასე შემოარტყა წრე მოედანს ჯარმა, „ბაკის" ვიცე-პრეზიდენტმა იანალ ალიევმა კი ცალკე გამიხმო სასაუბროდ და აზერბაიჯანულ ენაზე შედგენილი მატჩის პროგრამა გადამიშალა. აქ წერია, რომ წინა საუკუნის პირველ ნახევარში ბოლნისში გერმანელები ცხოვრობდნენ და ქალაქსაც გერმანული სახელი ერქვა, ეს თქვენ იცოდით? — მითხრა ალიევმა და იმაზე მიმანიშნა, რომ „სიონი" — „ბაკის" პირველ მატჩს გერმანელი მსაჯი სჯიდა...

ალიევის ესოდენმა ერუდიციამ და მიხვედრილობამ კამათის სურვილი გამიქრა, თუმც ბოლნისზე რომ ისტორიული გამოძიება ჩაუტარებიათ „ბაკის" მესვეურებს, მთლად უინტერესო ფაქტი არ უნდა იყოს. „ბაკი" აზერბაიჯანში პოლიციის გუნდად ითვლება, ამბობენ, „ბაკი" ყოფილი პოლიციელების გუნდიაო. მანამდე იურიდიულადაც ასე იყო, „ბაკის" ხომ „დინამო" ერქვა.

„ტოფიკ ბახრამოვზე" უხვად მოსული პოლიციელები კი ისეთ აურას ქმნიდნენ, თითქოს ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე შექმნილიყო.

ცხადაძემ პირველი შეხვედრისგან განსხვავებული შემადგენლობა გაიყვანა — მიკუჩაძის ნაცვლად ცენტრფორვარდად ჩასემი გაამწესა და კამერუნელმა რიგიანად ითამაშა, თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო. დაცვაში კი ცხადაძემ ფრიდოლინს დაუთმო ადგილი, მან ნახევარმცველი ალავიძე შეცვალა უწინდელი შემადგენლობიდან. ლაშა ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი და ფრიდოლინი დაცვის ცენტრში გამაგრდნენ. ფლანგებიდან მათ კობაური და რაქვიაშვილი ეხმარებოდნენ. ნახევარდაცვის ცენტრში კი შავგულიძე და ბაჯელიძე მოქმედებდნენ; ხოლო ქუცურუა და უგრეხელიძე ფლანგურ შეტევებზე ზრუნავდნენ.

მიხაი იონესკუმ თავურით ააცილა — ეს არ იყო საგოლე მომენტი, მაგრამ ბაქოელების არჩეულმა ტაქტიკამ მათ ამაზე მეტი ვერაფერი მოუტანა პირველ წუთებში. მასპინძელთა შორეულ ჩაწოდებებს „სიონი" კარგად უმკლავდებოდა. „ბაკიმ" პრესინგს არ მიმართა, მაგრამ „სიონი" მაინც ერიდებოდა, ასე ვთქვათ, ბურთის გაგორებას, ბურთს დიდხანს არ იჩერებდა, თუმც მარცხენა ფლანგიდან რამდენჯერმე უჩხვლიტა მეტოქეს ქუცურუას აქტიურობის წყალობით.

მარჯვენა ფეხის ზედა კუნთი ჰქონდა დაჭიმული მეგრელაძეს, ის კოჭლობით თამაშობდა და ამიტომაც ეფექტურად ვერ ირჯებოდა. პირველი ტაიმის შემდეგ ამად შეცვალეს.

ქუცურუამ კი კიდევ რამდენჯერმე აანერვიულა ბაქოელები. ერთ ეპიზოდში ორი მეტოქე გააბითურა ფლანგზე, მაგრამ „ბაკის" მცველები მეკარემ დააზღვია და ქუცურუას ბურთი აართვა.

„ბაკის" შეტევები სუსტი, მოუქნელი, მაგრამ ბევრი იყო. ისეთი თამაში წავიდა, რომელიც ხელს „სიონს" აძლევდა.

შესვენებისას სტადიონის რეპროდუქტორებში ერთხელაც გაისმა სიმღერა „ბაკიზე", მერე რამდენიმე პატრიოტული სიმღერაც და გუნდები გასახდელიდან დაბრუნდნენ.

„ბაკიმ" მარწუხებს გაცილებით მძლავრად მოუჭირა. ათწუთიან მონაკვეთში ზედიზედ ექვსი კუთხური ჩააწოდა, ქუცურუამ თავით გამოიტანა ბურთი კარიდან, მერე კი გადმოვარდნილ ბურთზე რაფაელ ამირბაიევმა ვერ გაისწორა მიზანი.

სიტუაცია დაიძაბა, სტადიონის დიქტორი ხშირ-ხშირად რთავდა მიკროფონს და: „აზერბაიჯან!"

მატჩზე მოსული 8 ათასამდე გულშემატკივარი უფრო და უფრო იმუხტებოდა, „ბაკისაც" თითქოს ძალა ემატებოდა. მეტოქის გამუდმებული შეტევები „სიონის" მცველებს ჯანს აცლიდა, მათგან ყველაზე მხნედ ფრიდოლინი გამოიყურებოდა. ასეთ დროს გუნდი უგრეხელიძემ ამოასუნთქა, რომელმაც დიაგონალზე ჩაირბინა ბურთიანად, გზად რამდენიმე მეტოქე გააცურა — „სიონმა" ცოტათი მოიკრიბა ძალა, მაგრამ ამოსუნთქვა ხანმოკლე გამოდგა — „ბაკიმ" კვლავ მძლავრად შეუტია და გოლსაც გამორჩა. — ჯეიხუნ სულთანოვის ფლანგური ჯარიმა და ფარით გულიევმა მცველებთან ბრძოლაში თავით აუღებელი დაურტყა ზურაბ ბათიაშვილს. „აზერბაიჯან! აზერბაიჯან!" დიქტორი დიჯეივით ახმაურდა, სტადიონიც უფრო აყვირდა. „სიონი" ზოგჯერ ბურთის მოცილებაზეც მიდიოდა და დროის გაყვანის ტაქტიკას უნარიანად მიმართავდა.

სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია, „ბაკი" რამდენჯერმე ძალიან მწვავედ დაემუქრა საქართველოს ჩემპიონს. ბაქოელთა საუკეთესო შანსი სულთანოვს ჰქონდა, მაგრამ მისი თავურის შემდეგ ბურთი ბათიაშვილმა ხელებში გააქვავა.

ემოციურ ტალღაზე მომართულმა „ბაკიმ" გოლის გატანა ვერ მოახერხა და მათი აღტკინებაც თანდათან სუსტდებოდა, „სიონმა" კი ორი კარგი კონტრშეტევა განახორციელა და გასტონ ევოჩეს რომ ეყოჩაღა, გოლსაც გამორჩებოდა — ფაქტობრივად მეკარესთან პირისპირ გასულმა კამერუნელმა ბურთი ვერ მოათვინიერა.

სერგეი ბერიოზკას საფინალო სასტვენი: „სიონი" მეცხრე ცაზეა, „ბაკის" ფეხბურთელებმა კი, ზოგმა მაისურა ჩამოიფხატა თავზე, ზოგიც მინდორზე გაიშოტა და გოდებდა. პირველ შეხვედრაში გავეშებული „ბაკის" მწვრთნელი ბოიუკაგა გაჯიევი პრესკონფერენციაზე მოვიდა და ჟურნალისტებს აქეთ დაგვისვა კითხვა: „მოგეწონათ მსაჯობა?" შემდეგ აზერბაიჯანულად გააგრძელა საუბარი. ვთხოვეთ, რუსულად ელაპარაკა, რაზეც მოგვიგო: „ბაქოში, აზერბაიჯანში იმყოფებით". ისინი ქართველები არიან და არა სომხები, სიტყვა შეგვაწიეს. ამის მერე გაჯიევმა რუსულად დაიწყო. ძირითადის ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა, თუ „სიონი" ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ვიამყებთ, რომ მასთან წავაგეთ. ამ თამაშში სათამაშო დისციპლინა ბოლომდე ვერ დავიცავით. ფეხბურთელები დაძაბულები იყვნენ. ამ ეტაპზე შესაძლებლობების 60 პროცენტზე მეტს ვერ ვაჩვენებდით...

ამის შემდეგ გაჯიევმა ისევ აზერბაიჯანულად გააგრძელა ლაპარაკი და ქართველებმა პრესკონფერენცია დავტოვეთ.

„სიონიდან" პრესკონფერენციაზე ცხადაძის თანაშემწე გიორგი ყიფშიძე მოვიდა: „შედეგი ლოგიკურია. შემდეგ ეტაპზე ძალიან ძნელი ბრძოლის შედეგად გავედით. ხანდახან დროის გაყვანა რომ მოგვიწევდა, ესეც გვქონდა გათვალისწინებული."

ბაქოელებს ერთმა გოლმა ვერ უშველა

შვედეთი

ალსვენსკა

X ტური

გაის 1:0 გეფლე

ირლანდია

პრემიერდივიზიონი

XVII ტური

ბრეი 1:2 სლიგო

ისლანდია

პრემიერდივიზიონი

XI ტური

რეიკიავიკი 2:3 აკრანესი

გრინდავიკი 1:1 ფილკირი

ვესტმანაეიარი 0:1 ბრეიდაბლიკი

ვიპინგური 1:1 კეფლავიკი

ავსტრია

მაქსიმუნდესლიგა. I ტური

აუსტრია 0:0 გრაცერი

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური	B ჯგუფი. I ტური
პოლონეთი 0:1 ავსტრია	ესპანეთი 5:3 თურქეთი
ბელგია 4:2 ჩეხეთი	შოტლანდია 2:2 პორტუგალია

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ეკრანასი (ლიტვა) 3:0 ელბასანი (ალბანეთი) (0:1)

შერიფი (მოლდოვა) 2:0 პიუნიკი (სომხეთი) (0:0)

რაბოტნიჩკი (მაკედონია) 0:0 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (1:0)



ჩიხრაძე, ფაქტობრივად, ფაქტობრივია

რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე მალე ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს და საქართველოს ნაკრებში თამაში შეეძლება. ეს საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, ახლა იურიდიული ფორმალობები უნდა მოგვარდეს, საამისოდ კი ნალჩიკის „სპარტაკის“ მეკარე თბილისში უახლოეს დღეებში ჩამოვა

საქართველოს ნაკრებს პრაქტიკოსი მეკარე ეყოლება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის უჩა უგულავას თქმით, ჩიხრაძისთვის ორმაგი მოქალაქეობის მიცემის აღარანაირი პრობლემა არ არის, საკითხი პრაქტიკულად მოგვარებულია. ფედერაციის გენმდივანი უკვე ესაუბრა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოს და მისგან ყველა ის საჭირო საბუთი თუ გარანტია მიიღო, რაც ჩიხრაძისთვის ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად იყო აუცილებელი. ნალჩიკის „სპარტაკი“ და თავად ფეხბურთელიც დარწმუნდნენ, რომ ყველა პრობლემა მოგვარებულია...

მაშ, ასე: შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ახალი მეკარე ჰყავს — 30 წლის ალექსანდრე ჩიხრაძე, ვისაც 1999-2001 წლებში საქართველოს ჩემპიონატში 20 მატჩი აქვს ჩატარებული. ის ჯერ „თბილისში“ თამაშობდა, შემდეგ კი — „დინამოში“. ჩიხრაძე ნალჩიკიდანაა და ადგილობრივ „სპარტაკში“ მეათე სეზონს ითვლის. როგორც რუსი სპეციალისტები ამბობენ, ალექსანდრე ჩიხრაძეს ახლა აღმავლობის პერიოდი უდგას. ბოლო დროს მან აშკარად მოუმატა და რუსულ პრემიერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება, „სპარტაკში“ კი, რაღა თქმა უნდა, შეუცვლელად თამაშობს. ეს გუნდი, მოგეხსენებათ, დღესდღეობით პრემიერლიგის ლიდერია.

ცხადია, ჩიხრაძის გაქართველების საქმის კურსშია საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი, ვისი სურვილის გათვალისწინებითაც დაიწყო და წარმატებით დამთავრდა კიდეც ჩიხრაძის საქმე. ახლა ამ მეკარემ შესაბამისი ანკეტები უნდა შეავსოს და მერე ქართულ პასპორტს დაელოდოს. პროცედურულად ეს დაახლოებით სამი თვის ამბავია, მაგრამ შესაძლოა, საქმე გაცილებით ადრეც მოგვარდეს.

კოგა ინასარიძე

საფეხბურთო მცნებათაგან: არა გაფლანგო!

ბადრი კალანდარაძის ფოტო

ეს მომენტი ფოტოსავით ეფექტური ვერ გამოდგა

გუშინ გლდანში, „ამერის“ სტადიონზე იქაურებმა თელავის „კახეთს“ უმასპინძლეს და 2:1 მოიგეს.

მატჩი ამხანაგური და მოსაწყენი იყო. საგოლე მომენტები ბევრი არ ყოფილა. კახელებმა სულ სამჯერ დაარტყეს „ამერის“ კარში და ამათგან ერთხელ თერმეტმეტრიანი ნიშნულიდან: ზურაბ გვაძაბიამ საჯარიმოში თელაველი ფეხბურთელი წააქცია, პენალტი დიმიტრი ცისკარიშვილმა დაარტყა, ბურთი ცხრიანში ჩასვა.

78-ე წუთზე გატანილი ამ გოლით „კახეთმა“ ანგარიშში ჩამორჩენა ერთ ბურთამდე შეამცირა, იქამდე კი „ამერმა“ ორი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, 48-ე წუთზე, დავით ბოლქვაძის დარტყმული კახელთა მეკარე გიგა იაშვილმა კი მოიგერია, მაგრამ სულიკო დავითაშვილის დამატებულს ვერაფერი მოუხერხა. მერე, 71-ე წუთზე დავით სევასტოპულომ გაიტანა დიმიტრი ტატანაშვილის პასით. ხოლო თავად ტატანაშვილმა ერთ ეპიზოდში ბურთი ხარიხას გაარტყა.

სამივე გოლი, როგორც აღვნიშნეთ, მეორე ტაიმში გავიდა. და შესვენებამდე? პირველ ტაიმში სულიკო დავითაშვილმა ორი ისეთი ნაღდი მომენტი გააფუჭა, შეგნებულად რომ მოენდომებინა, ალბათ არ გამოუვიდოდა.

და მთავარი: საეჭვოა, ერთი კვირის მერე ერევანში „ბანანცმა“ „ამერს“ ბლომად მომენტების შექმნის საშუალება მისცეს და რასაც შექმნიან, ის მომენტებიც უმოწყალოდ თუ გაფლანგეს, არაფერი გამოვა.

გუშინ კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

ამერი: ქვაჩახია (ნადირაშვილი 79), მჭედლიშვილი (ბერიანიძე 58), დავითნიძე (კედელაშვილი 79), ხვადაგიანი (გვაძაბია 73), ჩიკვილაძე (ელბაქიძე 58), დოლიძე (სილაგავა 58), ბოლქვაძე (ჯელაძე 64), დობროვოლსკი (ჩიმაკაძე 82), დეკანოსიძე (ვაბისკირია 64), დავითაშვილი (ტატანაშვილი 58), წინამძღვრიშვილი (სევასტოპულო 68);

კახეთი: სომხიშვილი, კარულაშვილი, კობაიძე, მაღლაკელიძე, ბედოიძე, კევლიშვილი, იმერლიშვილი, დავითაშვილი, ბურნაძე, სოსელია, ტეტეიშვილი

შეცვლაძე ითამაშეს: იაშვილი, კვირკველია, ხიდაშელი, ბიძინაშვილი, ლომიძე, ცისკარიშვილი, მურველაშვილი

ბურდული ისევ არსენალშია

ლაშა ჯაკობიამ კიევის „არსენალში“ თავისი პირველი მატჩი ჩაატარა. „მეთოფეები“ სამ 30-წუთიან ტაიმს ეთამაშნენ თანაქალაქელ ცსკა-ს და 0:1 წააგეს. ჯაკობიამ და ჯაბა კანკავამ საწყისი 30 წუთი ითამაშეს, ლადო ბურდული კი შეცვლაზე შევიდა და 60 წუთი დაჰყო მინდორზე.

ჯაკობია გასაგებია, იგი ხარკოვის „მეტალისტმა“ 6 თვით ათხოვა „არსენალს“, ბურდულის კიევში ყოფნას კი არ ველოდი: — ლადო „მეთოფეებში“ რომ ვარჯიშობდა, ვიცოდით, მაგრამ, თავად გვითხრა, ალბათ, ამ გუნდში არ დავრჩები და ლუგანსკის „ზარიასთან“ გავაფორმებ კონტრაქტსო.

ილია ნანოგაშვილი

ცხინვალი გადარჩა

„ცხინვალის“ საქმეს ბეჭდის დარტყმა და ფორმალობაღა აკლია, ისე კი საბოლოოდ გადაწყდა: კლუბს რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი ზურაბ კაბისოვი უპატრონებს. ამ საკითხზე ლაპარაკი რამდენიმე დღის წინ დაიწყო, გუშინ კი კაბისოვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებთან ჰქონია შეხვედრა.

სფფ-ის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ჩვენ არც დავუშვებდით „ცხინვალის“ დაშლას. ამ კლუბის არსებობა საფეხბურთო მოტივით კი არა, ზოგადად ქვეყნისთვისაა აუცილებელი.

„ცხინვალის“ ტექნიკური დირექტორი ზურაბ ნასუაშვილი კი გახარებულია, ხვალ-ზეგ კაბისოვი გუნდს შეხვდება და ჩემპიონატის დაწყებამდე დალაგებას მოვასწრებთო.

„როგორი იქნება დაფინანსება, ჯერ ზუსტად არ ვიცით, მაგრამ უწინდელზე უარესი რომ არ იქნება, ეს უკვე ჩანს. გუნდი ზურაბ მაისურაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. როცა გავიგეთ, რომ კლუბი გადარჩებოდა, სასწრაფოდ ახალ ფეხბურთელებს მოვუყარეთ თავი. გორის „დილადან“ მეკარე გეგეშიძე და თავდამსხმელი ლაბაძე გადმოვიყვანეთ, ყაზახური კლუბიდან ბენდელიანი დავიმატეთ, რომელიც თბილისის „ლოკომოტივშიც“ თამაშობდა და კარგი ფეხბურთელი ჩანს. მათ გარდა, ბევრი მოთამაშე გასინჯვაზეა“.

ილია ნანოგაშვილი

დარასელიაზე ყაზახეთი თქვეს

ვიტალი დარასელია, შესაძლოა, ყარაგანდის „შახტიორში“ გადავიდეს — ეს ინფორმაცია ყაზახური კლუბის პრეზიდენტმა გრიგორი ლორიამ გაავრცელა და რამდენად შეესაბამება რეალობას, თავს ვერ დავდებთ. ცნობისთვის, „შახტიორში“ ყაზახეთის ნაკრების მეკარე დავით ლორიაც თამაშობს.

გეცოდინებათ, თბილისის „დინამოდან“ წასვლის შემდეგ დარასელია უგუნდოდ დარჩა, რამდენიმე დღე კი უკრაინულ „ილიჩევეცში“ ისინჯებოდა და ტეტს-მატჩში გოლიც შეაგდო, მაგრამ კლუბში ფეხი მაინც ვერ მოიკიდა — ფიზიკურად ვერაა სრულ მზადყოფნაშიო.

ყარაგანდის „შახტიორი“ ყაზახეთის მიმდინარე ჩემპიონატში მეათე ადგილზეა და სულაც ლიდერებში რომ იყოს, ვიტალის კლასის ფეხბურთელი შუა აზიაში სათამაშოდ ნაღდად არაა გასამეტებელი, მაგრამ...

შეგახსენებთ, ყარაგანდის კლუბში რამდენიმე დღის წინ ერთი ქართველი — ნახევარმცველი გიორგი გაბიდაური გადავიდა.

ილია ნანოგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვესასწაული ყოველდღე

ემზარ ზენაიშვილი

აკრედიტებული შთაბეჭდილებები

ფრანგ ფანატიკოსებს ბურთი

ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ევროპის ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მოწინააღმდეგეებზე. მათი თამაშის გარჩევა, სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება ჩემს კომპეტენციაში არ შედის. საამისოდ მრავალმილიონიანი ანაზღაურებით დაქირავებულია გერმანელი სპეციალისტი.

ამბობენ, ადამიანი, რომელიც არ ოცნებობს, ფრთებწაჭრილ შევარდენს ჰგავსო. ოცნება და სურვილი ერთია, მაგრამ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ჩვენების ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად არ არის. მაშინაც კი, თუ კლაუს ტოპმოლერს, ამ უმაღლესი კლასის პროფესიონალს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპის მონაწილე ნაკრებთა ყველა მწვრთნელს ამოვუყენებთ გვერდში. არსებობს კი რომელიმე საფეხბურთო კომპონენტი, რომელშიც ჩვენები ჯობდნენ გერმანიის ტრიუმფატორებს — იტალიელებს და ფრანგებს? მართალია, უფრო საფეხბურთო იღბლის წყალობით, ვიდრე კლასით, მაგრამ უკრაინაც ხომ მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდში ითვლება.

სურვილის შემთხვევაში ჯგუფიდან ვერ (არ) გასვლას ძალზე იოლი ახსნაც მოეძებნება — იტალია, საფრანგეთი, უკრაინა — აბა, სხვას რას ელოდითო. მესამე ადგილის დაკავება უდიდესი სპორტული გმირობა იქნება და ჯგუფში უშანსო ტოპმოლერს კონტრაქტის გაგრძელების შანსს მისცემს.

მაშ, რაღა დაგვრჩენია? ყურები ჩამოვყაროთ და ხელი (ფეხი) არ გავანძრიოთ? არა, ეს არაფერს მოგვცემს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ქართულმა ფეხბურთმა თავისი პოტენციური შესაძლებლობები ღირსეულად წარმოაჩინოს და ქართველ გულშემატკივარს ძალზე შორეულ მომავალში არ გადაუტანოს რაიმე ღირებულის მიღწევის მოლოდინი. სტრატეგია ახალი გუნდის, მომავლის გუნდის შენება უნდა იყოს.

ისე, მადლობის მეტი რა გვეთქმის უეფას იმ მოხელის მიმართ, რომელმაც ჯგუფში იტალია და საფრანგეთი მოგვიყვანა. რომ არა ეს გრანდები, ეროვნული სტადიონის ნორმალურ სახეს როდის ვეღირსებოდით...

აქვე ერთი სურვილიც გამიჩნდა — იქნებ ჭიდაობის ან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციებმა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატი დაგეგმონ თბილისში, რომ ასეთივე დამკვრელური წესით სპორტის სასახლეც რაიმეს დაემგვანოს.

მართალი გითხრათ, საოცარი და ძნელად ასახსნელია, როცა ჩვენებური საფეხბურთო ინფრასტრუქტურისა და საფეხბურთო მეურნეობის მქონე, ევროპის ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანა ერთ კაცს საქმის გასამრჯელოდ, რომლის საბოლოო შედეგი, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე საეჭვოა, მილიონებს უხდის მაშინ, როცა ქვეყანაში არ გვაქვს არც ერთი სპორტული არენა, რომელზეც სპორტის ნებისმიერ სახეობაში თუნდაც ევროპული დონის რაიმე ტურნირის ჩატარება უპრობლემოდ შესაძლებელი იყოს, როცა მსოფლიოს მასშტაბით ქართული სპორტის ისტორიის შემქმნელებს, სპორტის ცოცხალ ლეგენდებს — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, მწვრთნელთა კორპუსს, საოცრად დუხჭირი ცხოვრება აქვთ (მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონების 300 ლარი დიდი ვერაფერი შემწეობაა ჩვენს დროში).

მაგრამ ყოველივე ამაზე წუწუნი გვიანია. კონიუნქტურის, უმთავრესად სპორტული მედიისა და გულშემატკივრების ერთგვარი ზეწოლის გათვალისწინებით გადაწყვეტილება მიღებულია. იმედიანი ლოდინიღა დაგვრჩენია.

ისე კი, ფეხბურთი ხომ სპორტია. სპორტში კი ყველაფერი ხდება. „ყველაფერში“ ნაკრების ჯგუფიდან გასვლაც შეიძლება აღმოჩნდეს.

◆ ◆ ◆

დამთავრდა გერმანიის ბატალიები, მაგრამ ფეხბურთი არასოდეს მთავრდება.

მე-18 მსოფლიო ჩემპიონატი ევროპელთა უპირობო გამარჯვებით დამთავრდა. 32-დან 14 ევროპულმა გუნდმა დაიწყო ბრძოლა მსოფლიოს თასისთვის, 16-ში 10 ევროპული გუნდი იყო, 8-ში 6 და ნახევარფინალში ოთხივე ბებერი კონტინენტის წარმომადგენელი.

გერმანიაში ობიექტურობამ იზეიმა. ფინალში ამ ჩემპიონატში უძლიერესებმა ითამაშეს.

სპეციალისტების აზრით, გერმანიის ბატალიები მცველების მუნდიალი იყო, ჩემპიონატის სპორტული დონე კი საშუალოზე ოდნავ მაღალი. ჯგუფური ტურების შემდეგ ჩატარებულ 16 მატჩში სულ 25 გოლი გავიდა (1,5 საშუალოდ თამაშში). შვიდ-შვიდ მატჩში ოქროსა და ვერცხლის პრიზიორების მიერ გატანილი 12 და 9 გოლი დიდ მიღწევად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

ყველა პროგნოზით ფავორიტები — ბრაზილიელები საქმისადმი არასერიოზულმა მიდგომამ დაღუპა. მათ თავი ბრაზილიურ კარნავალზე ეგონათ. არადა, რამდენი ფეხბურთელია ამ გუნდში, რომელთაც დაბადებისას ფეხბურთის ღმერთი ხელით შეეხო.

ბალზაკის მიხედვით, დიდება არამომგებიანი საქონელია, მისი ფასი წარმოუდგენლად ძვირია, ინახება კი ძალიან ცუდად. 9 ივლისამდე მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა დიდების რთული გამოცდა ვერ ჩააბარეს.

მე არ ვიცი, ამჯერად რა პასუხს გასცემს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რონალდო თანამემამულეებს კითხვაზე „რატომ წააგეთ“, მაგრამ 1998 წლის ფინალის შემდეგ ბრაზილიის კონგრესში ანალოგიურ კითხვაზე მან თავისი უბრალოებით საოცარი პასუხი გასცა: „იმიტომ, რომ ვერ მოვიგეთ“.

ჩემპიონატი გამოირჩეოდა გერმანელებისთვის დამახასიათებელი მაღალი ორგანიზებულობით, კარგი გერმანული სტუმართმოყვარეობით და, რაც მთავარია, სხვების მიმართ გერმანელი ფანების კეთილგანწყობით, სიტუაციის ობიექტური შეფასების უნარით.

ახალი სახელების, ახალი ვარსკვლავების ნაკლებობაც იოლი შესამჩნევი იყო. ფეხბურთში კარგად ჩახედულთათვის არც გერმანელი ლამისა და პოდოლსკის, არც პორტუგალიელი რონალდუს, არც ფრანგი რიბერის, არც არგენტინელი მესის სახელები უცნობი არ გახლავთ. გამონაკლისი უკრაინელი მილევსკია, მაგრამ საკითხავია, რა დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდება იგი.

აღიარებული ვარსკვლავების დიდმა ნაწილმა კი გერმანიაში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ვინ გაუძლო გამოცდას? ზიდანმა, კანავარომ, პირლომ, ანრიმ, ბალაკმა, ბუფონმა, მაკელელემ, ტურამმა. თუ არ ვცდები, სულ ეს არის.

მსაჯობა? ეს პრობლემა იყო, არის და იქნება. ყველა გულშემატკივრის, მწვრთნელისა თუ ფეხბურთელის მოსაწონი მსაჯობა არც ყოფილა და არც იქნება. ფრანკფურტიდან 20-იოდე კილომეტრში, შუაგულ ტყეში, „კემპინსკის“ ქსელის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში გადამალულ-გამოკეტილებმა ავად თუ კარგად თავიანთი საქმე გააკეთეს. გერმანიაში მსაჯობის მხრივ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ამ ჩემპიონატის კიდევ ერთი გაკვეთილი — პროგნოზები. ბუკმეკერების ფსონების საშუალო გამოთვლით ფინალში მონაწილეობასთან მიმართებაში იტალია და საფრანგეთი მხოლოდ მე-5-მე-6 ადგილებზე იყვნენ. ჰოდა, რამდენი მილიონები აღმოჩნდა ტოტალიზატორების ყულაბაში?

ორ ფაქტზე მინდა ყურადღების გამახვილება. იტალიის ნაკრების არც ერთი ფეხბურთელი უცხოეთში არ თამაშობს, გერმანიიდან და ინგლისიდან მხოლოდ 2-2, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებიდან, შესაბამისად, 2 და 3 კაცი თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში, საფრანგეთიდან 10, უკრაინიდან და ჰოლანდიიდან 18-18. ამ უბრალო სტატისტიკიდან ჩანს, ამა თუ იმ ნაციონალური პირველობის როლი და მნიშვნელობა ნაკრების დაკომპლექტების საქმეში.

და მეორე, გერმანიის ჩემპიონატის ნახევარფინალის მონაწილეთაგან საფრანგეთმა 2002 წელთან შედარებით გააკეთა ნახტომი 28-ე ადგილიდან ვიცე-ჩემპიონობამდე, იტალიამ მე-15-დან ჩემპიონობამდე, ხოლო პორტუგალიამ 21-დან მე-4 ადგილამდე. მხოლოდ გერმანელებმა შეცვალეს ვერცხლი ბრინჯაოთი.

...ცხოვრება გრძელდება. მისი შემადგენელი ნაწილი ფეხბურთიც გრძელდება.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს იმედი რჩება — ერთ თვეში ისევ საფეხბურთო ბრძოლებია.

ტურინში მაგიდაზე მაურინიუ დევს

კიელინი: ვინც მეკეგს, მიპოვის

ჯორჯო კიელინი

„იუვენტუსი“ სერია B-ში გააგდეს, მაგრამ ჯორჯო კიელინისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, ის ტურინული კლუბის ერთგულ მოთამაშედ რჩება — მოგეხსენებათ, „ბებერი ქალბატონის“ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს, კიელინისგან განსხვავებით, ქვედა ლიგაში ჩასვლა და „წლის დაკარგვა“ არ სურს.

„თითოეული მოთამაშე თავად გადაწყვეტს საკუთარ ბედს. ბევრი რამ იმაზეცაა დამოკიდებული, ვის რა ალტერნატივა აქვს, თუმცა კლუბისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შარშანდელი შემადგენლობიდან რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელის შენარჩუნება — განაცხადა კიელინიმ — პირადად მე „იუვენტუსში“ დარჩენით და მის დიდ პროექტში მონაწილეობით ვიამაყებ. კლუბის ხელმძღვანელთათვის გასაყიდთა სიაში შეყვანა არ მითხოვია. ის კი არა, კონტრაქტის 2009 წლის ივნისამდე გახანგრძლივებას ვაპირებ და საამისოდ ვაწარმოებ მოლაპარაკებებს“.

საინტერესოა, რომ სერია B-ში „ჩაკარგვა“ კიელინის, არც ნაკრებში მოხვედრა — ვერ მოხვედრის თვალსაზრისით აშინებს. მან მარჩელო ლიპის ხანაში ერთი-ორჯერ გაიკვალა „სკუადრა აძურას“ ძირითადისკენ გზა და იმედი აქვს, რომ ამას მომავალშიც მოახერხებს.

„ნაკრებში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. „სკუადრა აძურას“ ახალი მწვრთნელი რობერტო დონადონი კარგად მიცნობს და მწამს, თუ დავჭირდები სერია B-შიც მომაგნებს — თქვა „იუვეს“ ერთგულმა ფეხბურთელმა და მწვრთნელების თემა ტურინელთა ძველის თავკაცის, ფაბიო კაპელოს წასვლითა და ახლის, დიდიე დეშანის დანიშვნით განაგრძო — მოთამაშეზე ნებისმიერი ხელმძღვანელი ახდენს გავლენას, ყველა რაღაცას უტოვებს. ჩემთვის, „იუვენტუსში“ დიდ დონეზე, პირველი დამრიგებელი ფაბიო კაპელო გახლდათ. მან მასწავლა, რომ ჩემი მონაწილეობა გუნდის წარმატებაში მოედნის კიდიდანაც ისეთივე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, როგორც უშუალოდ მოედნიდან. რაც შეეხება დეშანს, პირველ დღეებში მანს საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა“.

ხოლო მეკარე კრისტიან აბიატი, როგორც ჩანს, „ტორინოში“ გადადის და ირიბად ეს ამბავიც „იუვენტუსთან“ არის კავშირში. კერძოდ, აბიატი ის კაცია, რომელიც შარშან ამ დროს „მილანმა“ „იუვენტუსს“ ათხოვა — გეხსომებათ, ამ ორი გუნდის სეზონისწინა შეხვედრაში, ეგრეთწოდებული „ბერლუსკონის თასზე“, ტურინელებს მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი დაუშავდათ და „მილანმა“ კეთილი ნება გამოიჩინა, თავისი მეორე მეკარე ათხოვა — და მართალია, დაბრუნების დრო რომ დადგა, დაუბრუნა, მაგრამ ახლა იმავ „იუვედან“ „მილანში“ შეიძლება თავად ბუფონიც გადავიდეს და აბიატისთვის დიდას და მის კამპანიაში დარჩენას აზრი ეკარგება. ისე, ამ გოლკიპერზე „რომა“, „ინტერი“ და „არსენალიც“ არ იტყოდნენ უარს.

და ისევ „ბებერი ქალბატონი“... „ჩელსი“ ჯანლუკა ძამბროტას მიადგა და 10 მილიონ გირვანქასაც აფრიალებს. 10 მილიონი გირვანქა 18,43 მილიონი დოლარია, რომელიც ლონდონელთა რუს მეპატრონე რომან აბრამოვიჩს არ გაალარიბებს, „იუვენტუსს“ კი ჯიბეს შეუვსებს. რა იქნება, მალე ვნახავთ, ერთი კი ფაქტია, რომ ჟოზე მაურინიუს ოფიციალური წერილი ძამბროტასთან დაკავშირებით, უკვე ტურინელთა ოფისშია.

პაპუნა კედია

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

პატრიკ ვიეირა

ინტერი იუვენტუსს ამ კვირაში შეხვდება

სერია B-ში დაქვეითებული ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს სხვადასხვა კლუბები რომ შეესივნენ, კარგად მოგეხსენება. მათ შორისაა მილანის „ინტერიც“ რომელსაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი და პატრიკ ვიეირა აინტერესებს. „ნეროაძურის“ მფლობელ მასიმო მორატის ამ კვირაში, „ბებერი ქალბატონის“ ახალ პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილისთან შეხვედრა აქვს დანიშნული და, ალბათ, მოლაპარაკებაც სწორედ მაშინ შევა გადამწყვეტ ფაზაში.

„ინტერს“ ახალი ფორვარდი უნდა და კანდიდატთა სიაში ფიორენტინელი ლუკა ტონის გარდა, „იუვეს“ კიდევ ერთი თავდამსხმელ, დავიდ ტრეზეგე ჰყავს. თუმცა, ამბობენ, მორატის და კომპანიას ყველაზე მეტად იბრაჰიმოვიჩის ხელში ჩაგდება სურსო. აპენინური ჟურნალ-გაზეთები იმასაც გვამცნობენ, რომ „ნეროაძურის“ შვედთან შეთანხმებისთვის უკვე მიუღწეიაო — ხუთწლიანი კონტრაქტი და სეზონში 2,8 მილიონი გირვანქა. მთავარი პრობლემა „იუვენტუსის“ მიერ მოთხოვნილი თანხა, 18 მილიონი გირვანქა ყოფილა. მილანელები „ბებერ ქალბატონს“ 7 მილიონით ნაკლებს სთავაზობენ.

იგივე პრობლემაა ვიეირას შემთხვევაშიც. ტურინელები ბევრად მეტს ითხოვენ, ვიდრე „ინტერი იხდის. „ნეროაძურის“ ფრანგისთვის ოთხწლიანი კონტრაქტი და სეზონში 3 მილიონი გირვანქა ჰქონია გამზადებული.

მოგეხსენებათ, მილანური კლუბი ამ ზაფხულს ხუან სებასტიან ვერონმა დატოვა, რომელზეც მნიშვნელოვანწილად იყო „ინტერის“ თამაში აწყობილი და მილანელები მის შემცვლელს ეძებენ. ვიეირა კი იდეალური კანდიდატია.

კოკი კანდელაკი

მორატისა და მოჯის ფრაგმენტული ჩხუბი

„ინტერი“ „იუვენტუსის“ ყოფილ გენერალურ მენეჯერს, სკანდალურად ცნობილ ლუჩანო მოჯის სასამართლოში ჩივილს უპირებს. მიზეზი: „ლა რეპუბლიკასთვის“ მიცემული ინტერვიუ, უფრო სწორად კი ამ ინტერვიუს რამდენიმე ფრაგმენტი, რომელშიც მოჯი ამბობს, რომ „შავ-ლურჯები“ თავის უცოდველ კრავებად გამოყვანას ტყუილად ცდილობენ. ალბათ, მიხვდით, რაზეც არის ლაპარაკი — კალჩოპოლის სასამართლომ საბოლოოდ ოთხი გუნდი: „იუვენტუსი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“ და „მილანი“ დასაჯა, რაც „ინტერის“ მხრიდან დიდი ხმაურისა და დამნაშავეთა შერცხვენის ფონზე მოხდა. სკანდალის ცენტრში პირადად მოჯი გახლდათ, რომელსაც ტრიბუნალმა ფეხბურთში სუთი წლით მოღვაწეობა აუკრძალა და 50 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. მოჯი, ბუნებრივია, ბრალდებებს უარყოფს და რაღაც საკითხებში ხელს „ინტერის“ პრეზიდენტ ჯაჩინტო ფაკეტისკენ იშვერს.

სწორედ ამ განცხადებებმა განარისხა „შავ-ლურჯთა“ მეპატრონე მასიმო მორატი, რომელმაც კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაწერა: „ეს სასოწარკვეთილი კაცის სიტყვებია... ყველაფერთან ერთად კი, ფაკეტი პირადად და მთელი „ინტერი“, მოჯის სასამართლოშიც ვუჩივლებთ, რადგან იმასთან, რასეც ეს კაცი გვაბრალებს, საერთო არაფერი გვაქვს.“

შეგახსენებთ, რომ ტრიბუნალის მიერ დასჯილთ ჯერ კიდევ აქვთ აპელაციის უფლება

პაპუნა კედია

ძეფირელი: შენ გენაცვალე, ია!

დაახლოებით სამასმა იტალიელმა გულშემატკივარმა საპროტესტო აქცია გამართა საყვარელ კლუბ „ფიორენტინას“ დასაცავად.

ფანებმა ერთ-ერთი რკინიგზის სადგური იერიშით აიღეს და რელსებზე გაწვნენ, რითაც სარკინიგზო მიმოსვლის დროებითი პარალიზება გამოიწვიეს.

იქაური მედიის ცნობით, „ფიორენტინას“ ქომაგები ლეგენდარულმა რეჟისორმა და თავადაც ფლორენციული კლუბის დიდმა გულშემატკივარმა ფრანკო ძეფირელიმ გაამხნევა.



ფრანკო ძეფირელი

„იების“ დამცველებს რელსებზე, „როშეო და ჯულიეტას“, „ივსო ნაზარეველის“, „ოტელოს“, „ჰამლეტისა“ და სხვა შედევრების 83 წლის ავტორი ახლდათ თან...

„ფიორენტინა“ იტალიურ ფეხბურთში თამაშების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალს შეეწირა — ფლორენციელები სერია B-ში დააქვეითეს და მომავალ სეზონში ჩემპიონატს მინუს 12 ქულით დაიწყებენ. დაისაჯნენ გუნდის თავკაცებიც — პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალეს ფეხბურთში საქმიანობა 3 წლით და 6 თვით აუკრძალეს, ხოლო მის ძმას და კლუბის საპატიო პრეზიდენტ დიეგოს — 4 წლით...

ლადო ხომერიკი

პესოტო იცოცხლებს



ტურინის „იუვენტუსის“ მენეჯერ ჯანლუკა პესოტოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მართალია, სარეაბილიტაციო პერიოდი ნელა მიმდინარეობს, მაგრამ „ლე მილინეტოს“ ჰოსპიტალის ექიმები ახლა უკვე გადაჭრით ამბობენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელ-ნელა უკეთესდება. ყოველ შემთხვევაში, ახლა დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება“ — აღნიშნა პესოტოს ერთ-ერთმა ექიმმა პიერპაოლო დონადინომ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 35 წლის პესოტომ სათამაშო კარიერა ამ ზაფხულს დაასრულა და მყისვე „იუვეს“ მენეჯერად დაინიშნა. მას კარიერის დიდი ნაწილი სწორედ ტურინელთა რიგებში აქვს გატარებული, რომლის მაისურაც 243-ჯერ მოურგია და „ბებერ ქალბატონთან“ ერთად მრავალი ტიტული აქვს მოგებული.

როგორც ამბობენ, იგი ბოლო დროს დეპრესიაში იყო, რასაც მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალით გამოწვეული სტრესი დაემატა და პესოტო რამდენიმე კვირის წინ „იუვენტუსის“ სათავო ოფისის სახურავიდან, კრიალოსანით ხელში გადმოხტა. 15 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ორ მანქანას შუა დაეცა და თავიდან მისი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, სიკვდილს გადაურჩა.

პესოტო, ფაქტობრივად, მის ყველა ყოფილ თანაგუნდელს უყვარს. მას თბილ და მეგობრულ ადამიანად ახასიათებენ. საავადმყოფოში იგი უამრავმა ადამიანმა მოინახულა. გვერდით ედგნენ გერმანიაში მყოფი „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებიც. ცოტა ხნის წინ მას მსოფლიოს თასიც მიუტანეს.

ბიორგი კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკო, შენ ხარ ავადმყოფობა

ლილიან ტურამმა მარკო მატერაცის წინააღმდეგ მძაფრად გაილაშქრა. საფრანგეთის ნაკრების აწ უკვე ყოფილმა მცველმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ბოლო მუნდიალის მეორე ადგილოსანმა, იტალიელ მსოფლიოს ჩემპიონზე თქვა, მისნაირი მოთამაშეები არ უნდა არსებობდნენო.

გასაგებია რამაც გააბრაზა „იუვენტუსის“ ფეხბურთელი — მატერაცის და ზინედინ ზიდანის ისტორია ყველამ იცის: 9 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, როდესაც დამატებითი დროის დამთავრებამდე ათი წუთი რჩებოდა, მატერაცემ ზიდანს შეაგინა, ფრანგმა ეს ვერ მოითმინა, მკერდში თავი დაარტყა და წააქცია, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა.

„პროვოკატორები უნდა დასაჯონ — თქვა ტურამმა — მატერაცის ტიპის ფეხბურთელები საერთოდ არ უნდა არსებობდნენ, რადგან ეს ხალხი ფეხბურთის ავადმყოფობაა და სპორტის ამ სახეობას იმიჯს უფუჭებს. ამჯერად, სამწუხაროდ, ხაფანგში ჩემი თანაგუნდელი ჩავარდა. მატერაცემ ზიდანის ოჯახი ძლიერ შეურაცხყო და ზინედინის პასუხი ჩემთვის გასაგებია. ეს უფრო გასაგებია, ვიდრე არაფერი რომ არ ეპასუხა“.

რაც შეეხება თამაშის შედეგს, ტურამს სწამს, რომ ამაზე ზიდანის გაძევებას არ უმოქმედია:

„არა მგონია ამ გაძევებას შედეგზე ემოქმედა“ — დაასკვნა მცველმა.

შეგახსენებთ, რომ დარჩენილი წუთები უგოლოდ დასრულდა, ხოლო პენალტებში იტალიამ გაიმარჯვა 5:3.

პაპუნა კედია

ათასევროიანის წასვლა კიდევ მნახავთ გაღიმებულს

დამიანო ტომაზიმ განაცხადა, რომ „რომადან“ მიდის — ტომაზიმ „ჯალოროსის“ მაისურით ათი წელიწადი ითამაშა.

„რომში და „რომაში“ გატარებული 10 წლის შემდეგ გადავწყვიტე, გარემო შევიცვალო — თქვა ნახევარმცველმა — სიტყვები არ მყოფნის იმ გრძნობის გადმოსაცემად, ამ გადაწყვეტილებას რომ უძღოდა წინ, მაგრამ იმისთვის, რომ კიდევ გავიღიმო, აუცილებლად უნდა გადავიდე სხვა გუნდში. ჩემს გადაწყვეტილებას მოლაპარაკებებთან, ხელფასთან და სხვა, საკონტრაქტო საკითხებთან არაფერი აქვს საერთო.“

შემდეგ ტომაზიმ განაცხადა, რომ ჯერ არ იცის, სად დაიწყებს თამაშს, თუმც არ. არის გამორიცხული, ესპანურ „ლევანტეს“ მიაშუროს.

„ვერ გეტყვით, რას მიქადის მომავალი. პროფესიონალის რანგში მიზნად ისეთი ადგილის პოვნა მაქვს დასახული, რომელიც თავიდან გამიღვივებს მებრძოლ სულს, რომელიც ფეხბურთის სათამაშოდ ასე მჭირდება.“

დამიანო ტომაზი 32 წლისაა. 2000-01 წლების სეზონში ის გახლდათ ჩემპიონი „რომას“ შემადგენლობის განუყოფელი ნაწილი — ახლა, მისი წასვლის შემდეგ, „რომაში“ იმ მოთამაშეთაგან მხოლოდ ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა დარჩებიან.

საინტერესოა, რომ ბოლო წელიწადში ტომაზიმ უმცირეს ხელფასზე, ათას ევროზე მოუწერა კლუბს ხელი და ამით მთელი საფეხბურთო იტალია გააკვირვა.

პაპუნა კედია

კორადი სიტიში

ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ მცდელობა, ესპანური „ვალენსიადან“ იტალიელი თავდამსხმელი ბერნარდო კორადი იყიდოს, ალბათ, წარმატებით დამთავრდება. ესპანური წყაროების ცნობით, მანჩესტერელებსა და ვალენსიელებს შორის თანხმობა უკვე მიღწეულია.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, კორადი პირადად უნდა ჩასულიყო ინგლისში და თავისი წილი საკონტრაქტო საკითხები შეეთანხმებინა. როგორც ამბობენ, ამ მოლაპარაკებების დროს პრობლემა არც ერთ მხარეს არ შექმნია. „სიტი“ „ვალენსიას“ 1,5 მილიონ ევროს გადაუხდის და 30 წლის თავდამსხმელს ორი წლით წაიყვანს. შეგახსენებთ, რომ კორადი გასულ სეზონში „პარმაში“ იყო გაქირავებული, სადაც მან ჩინებულად ითამაშა.

პაპუნა კედია

არ ვიცი, აქაური არ ვარ

იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ უარყო ჭორები, თითქოს ფეხბურთელებს რაიმე კავშირი ჰქონდათ „სკუადრა აძურას“ ახალ მწვრთნელ რობერტო დონადონის დანიშვნასთან. აპენინებზე ამბობდნენ, რომ დონადონის არჩევაში მოთამაშეებმაც მიიღეს მონაწილეობაო, მაგრამ „რინომ“ ეს ვერსია გააქარწყლა.

ჯენარო გატუზო: „ჩვენ არაფერი ვიცოდით ახალი მწვრთნელის შესახებ, სანამ ფაქტის წინაშე არ დავდექით. ეს ამბავი რომ გავიგე, რამდენიმე თანამემამულეს და მეგობარს დავურეკე, რომლებიც ჩემსავით გაკვირვებულები იყვნენ. დონადონი კარგი სპეციალისტია და მისი იმედი გვაქვს.“

„მილანის“ ყოფილი ლეგენდა, „სკუადრა აძურას“ ახალგამომცხვარი და ახალგაზრდა თავკაცი კი ამჟამად იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს. 16 აგვისტოს იგი ხორვატიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში პირველად გაიყვანს ეროვნულ ნაკრებს მინდორზე.

ბიორგი კაკაბაძე

შეფა ჩემპიონურად მოკალათდა



ჟოზე მაურინიუს „ჩელსი“ პირველ კალათში ვერ მოხვდა

უეფამ მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის პირველ ორ კალათაში განთესილი გუნდების სია გამოაქვეყნა, რომლებიც პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებენ თამაშს. „იუვენტუსის“, „მილანისა“ და „ფიორენტინას“ გათამაშებიდან მოკვეთამ ამ სიასა და კალათებზე, ცხადია, გავლენა იქონია და იგი შეიცვლება, თუ ამ კლუბების აპელაცია შედეგს გამოიღებს, რაც ნაკლებ სავარაუდოა. ყველაფერი საბოლოოდ 25 ივლისს დაზუსტდება ანუ, როცა გასაჩივრების პასუხები ცნობილი გახდება.

საინტერესოა, რომ ზედიზედ ორჯერ პრემიერლიგის მოგებისა და ჩემპიონთა ლიგაში არცთუ ცუდი თამაშის მიუხედავად, ლონდონის „ჩელსი“ პირველ კალათაში ვერ მოხვდა. ასე რომ, დიდი შანსია, ჟოზე მაურინიუს შეგირდები „ბარსელონასთან“ ერთად აღმოჩნდნენ ჯგუფში და ამ კლუბების დაპირისპირება გაგრძელდეს.

„იუვენტუსისა“ და „მილანის“ ნაცვლად, საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ „ინტერი“ და „რომა“ — მილანელები პირველ კალათაში, ხოლო დედაქალაქელები — მეორეში. ამ შემთხვევის წყალობით, მეორედან პირველ რვეულში აინაცვლა ფრანგულმა „ლიონმა“. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებული „ვალენსია“ საუკეთესო რვა გუნდშია. მეორე კალათაში კი „ჩელსისთან“ ერთად მიუნხენის „ბაიერნიცაა“.

აქვე შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 32 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ოთხ კალათაში ნაწილდებია და რვა ჯგუფად იყოფიან. თითოეულ ჯგუფში ერთი კალათის ერთი წარმომადგენელი ხვდება. პირველი კალათის კლუბების პლუსი გახლავთ ის, რომ ძლიერ მეტოქეებს ირიდებენ თავიდან.

პირველი კალათა: „ბარსელონა“ (კოეფიციენტი 127), „რეალი“ (120), „ინტერი“ (112,4), „ლივერპული“ (105,9), „არსენალი“ (101,9), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (100,9), „ვალენსია“ (95,8), „ლიონი“ (89,7).

მეორე კალათა: „პორტუ“ (87,5), პსვ (81,6), „ბაიერნი“ (80,9), „ჩელსი“ (79,9), „რომა“ (76), „აიაქსი“ (60,6) „სელტიკი“ (60), „ლილი“ (54,7).

კოკი კანდელაკი



კრეიგ შორტი

როგორი იყო მატერაცი

„ევერტონის“ ვეტერანი, ან „შეფილდ იუნაიტედის“ მოთამაშე კრეიგ შორტი, იმ დროს იხსენებს, როცა მარკო მატერაცი „გუდისონ პარკზე“ თამაშობდა და ვარჯიშებზე ოფლს ღვრიდა, რათა ძირითადში დამკვიდრებულიყო.

„ის ვარჯიშებზე ისეთი ხისტი და უკანმოუხედავი იყო, რომ ერთი ორმა უფროსმა ფეხბურთელმა უთხრა, დამშვიდდი, შვილო, აქ სახმალაო არაფერიაო“ — იხსენებს შორტი — ის ძალიან ღელავდა ხოლმე და ამას მის სიყმაწვილეს მივაწერდი. აგრესიული იყო, თუმცა, გინება მისგან არ გამიგონია. მაშინ 23 წლის გახლდათ და არ მეგონა, რომ რაღაც გამორჩეული იქნებოდა. ოღონდ ისიც ფაქტია, რომ ცენტრალური მცველები ასაკში უფრო კარგები ხდებიან. ტექნიკურად და ფიზიკურად მაშინაც არა უშავდა. ახლაც მიკვირს, რა დაემართა, იმიტომ, რომ ძალიან წესიერი ბიჭი იყო და ცდილობდა, გუნდელებს მორიგებოდა.“

მატერაცი, „ევერტონმა“ 2,5 მილიონად იყიდა და მერე 3-ად მიჰყიდა „პერუჯას“. მან ინგლისში 32 თამაში ითამაშა, სამი წითელი და 12 ყვითელი ბარათი მიიღო.

„თამაშში არის მჭახე სიტყვა-პასუხი. მაგრამ ეს, უბრალოდ, მგრძნობიარე სიტყვებია, — თქვა შორტმა — არის ხაზი, რომელიც არ უნდა გადაკვეთო. ეს ხაზია ოჯახი და რასიზმი. საერთოდ, ეს სიტყვა-პასუხი წამების ამბავია. მეტი დრო არ გაქვს.“

ირაკლი გამყრელიძე

ჰიდინკი რუსეთს გახსნის

ნაკრების ახალ მწვრთნელთან, ჰოლანდიელ გუს ჰიდინკთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო ჟურნალისტებს გაესაუბრა.

„გუს ჰიდინკმა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში მუშაობა დაიწყო და ჩვენც რამდენიმე პრობლემაზე ვილაპარაკეთ. ჰიდინკი გუნდის სტრუქტურამ, კალენდარმა, შეკრებებმა და ბაზამ დააინტერესა. დღევანდელი შეხვედრით კმაყოფილი ვარ. ახალ მწვრთნელს მუშაობის დიდი სურვილი აქვს და ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მას კონტაქტი ჰქონდეს კლუბებთან... ჰიდინკის ასისტენტად ალექსანდრ ბოროდიუკი იქნება. მისი კანდიდატურა მწვრთნელმა მოიწონა. იგორ კორნეევი კი მწვრთნელ-თარჯიმნად მუშაობს, მან ჰოლანდიური ენა იცის, რაც საერთო საქმისთვის მნიშვნელოვანია. შევარჩევთ აგრეთვე სპეციალისტს, რომელიც ნაკრების მეკარეებს ავარჯიშებს. ეროვნული გუნდის მენეჯერად ჰოლანდიელს დანიშნავთ, იგი ყველა საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხს ოპერატიულად მოაგვარებს“ — აღნიშნა ვიტალი მუტკომ.

რუსთა საფეხბურთო დიდჩინოსნის თქმით, ჰიდინკი მის ქვეყანაში იმდენ ხანს დარჩება, რამდენიც სამუშაოსთვისაა აუცილებელი:

„გუს ჰიდინკი თვლის, რომ რუსეთში კვალიფიციური ფეხბურთელები საკმარისად არიან. მწვრთნელს მათი სწრაფად გაცნობა უნდა. ავსტრალიის ნაკრებთან შედარებით, ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს. აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე...“

თავად ჰიდინკს საქმიანი საუბარი ჰქონდა რუსთა ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელებთან. შეხვედრას ნიკიტა სიმონიანი, ალექსანდრ ბოროდიუკი, ვიქტორ ლოსევი, იგორ კოლივანოვი და სხვები ესწრებდნენ.

„მესმის, რომ პრესის და გულშემატკივრების ყურადღება უმთავრესად ძირითადი ნაკრებისკენაა მიმართული, მაგრამ თქვენც დიდ საქმეს აკეთებთ, მოთამაშეთა ახალ თაობებს ზრდით. ურთიერთობებში ჩაკეტილი ადამიანი არ ვარ და მინდა, თქვენი სურვილები, კომენტარები მოვისმინო. მინდა, 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელ კოლივანოვს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამარჯვება მივულოცო — ეს ამტკიცებს, რომ რუსულ ფეხბურთს უზარმაზარი პოტენციალი აქვს“ — აღნიშნა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა. ჰიდინკის თქმით, ნაკრების ვარჯიშები ჟურნალისტებისთვის უფრო გახსნილი იქნება.

ლადო ხომერიკი

ლარსონმა ნაკრების კარი გადაკეტა



შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. „წავედი — თქვა ლარსონმა — ვფიქრობ, საამისოდ დრო სწორად შევარჩიე. ეროვნული გუნდისთვის გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო“.

ჰენრიკ ლარსონის სანაკრებო დებიუტი 1993-ში შედგა. მან 93 მატჩში 36 გოლი გაიტანა, ბოლო გოლი კი მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე, ინგლისის ნაკრების კარში გატანილი გამოდგა. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა 2:2 დასრულდა.

მერვედფინალში შვედებმა 0:2 წააგეს გერმანიასთან, ჰენრიკ ლარსონმა კი პენალტი ვერ შეაგდო.

34 წლის შვედმა 13 წელი გაატარა სამშობლოს გარეთ და საკლუბო დონეზე უდიდეს წარმატებას ამ გაზაფხულზე მიაღწია — „ბარსელონას“ მაისურით ჩემპიონთა თასი მოიგო.

ამჟამად სამშობლოშია და „ჰელსინგბორგში“ თამაშობს.

გიორგი დარჯანია

ბოლო ფურცელი რივალდოს წიგნში

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიელმა რივალდომ გამოაცხადა, რომ მომავალი სეზონი მის კარიერაში ბოლო იქნება.

„გადაწყვეტილება უკვე მივიღე და მის გადათქმას არ ვაპირებ. ეს ფეხბურთში ჩემი უკანასკნელი სეზონი იქნება. მინდა, „ოლიმპიაკოსში" კარიერა მაღალ ნოტაზე დავასრულო" — განაცხადა მედიასთან ინტერვიუში მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა.

კარიერის პიკს 34 წლის რივალდომ ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს მიაღწია. მისი ყველაზე დიდი მიღწევები სწორედ ამ დროს უკავშირდება. ყველაფერი კი ატლანტის ოლიმპიადაზე დაიწყო, როცა ბრაზილიის ნაკრებმა ნახევარფინალში მოახერხა გასვლა. ორი წლის შემდეგ ბრაზილიამ მუნდიალის ფინალი წააგო საფრანგეთთან. აი, ამის მერე კი რივალდოს „აფეთქების" ხანაც დადგა...

ბრაზილიელმა 1998 და 1999 წლებში ესპანეთის ჩემპიონობა და კოპა დელ რეი მოიგო (ყველა „ბარსელონას" შემადგენლობაში). არის 1999 წლის კოპა ამერიკას გამარჯვებული. ამავე წელს ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. რა თქმა უნდა, რივალდოს ყველაზე დიდი მიღწევა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა. იაპონია-კორეის მუნდიალზე რივალდომ 5 გოლი შეაგდო და თავისი ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი გახლდათ. თუმცა მაშინ საზოგადოების ყურადღება მისკენ კი არა, რონალდოსკენ იყო მიპყრობილი. კიჭა მერე ტურნირის საუკეთესოდაც დაასახელეს.

აზიურ სტადიონებზე ტრიუმფის შემდეგ რივალდო ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა „მილანის" შემადგენლობაში, თუმც მაშინ ბრაზილიელი თანაგუნდელთა წარმატებას სათადარიგო სკამიდან უცქერდა... 6 თვის მერე კი რივალდო საერთოდ წავიდა მილანიდან და თამაში „კრუზეიროში" დაიწყო.

ამჟამად მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" ბურთაობს, გულშემატკივრებს კი ყოველთვის ემახსოვრებათ, რას ნიშნავდა რივალდო მათთვის.

ლადო ხომერიკი

ევერტონი ბაკლიკი

სამხრეთაფრიკელი დერლონ ბაკლი ლივერპულის „ევერტონში" გადავიდა. 28 წლის მარცხენა ნახევარმცველმა, ვისაც ფორვარდობაც ეხერხება, პრემიერლიგას დორტმუნდის „ბორუსიადან" მიაშურა, სადაც შარშან ზაფხულს მივიდა.

დერლონ ბაკლი ბორუსიელებმა ბილეფილდის „არმინიადან" წაიყვანეს. სამხრეთაფრიკელს „არმინიაში" გოლი გოლზე გაჰქონდა და გუნდის ლიდერი იყო, მაგრამ დორტმუნდში გადაბარგებულს მწვრთნელმა დაცვაში თამაში დაავალა და მისი ეფექტურობაც გაქრა.

„ტოტენჰემსაც" უნდოდა ბაკლის გადაბირება წლის დასაწყისში, თუმც საბოლოოდ „ევერტონში" აღმოჩნდა. „იგი ერთ კვირას აქ დარჩება და გუნდთან ერთად იქნება — განაცხადა ფეხბურთელის მენეჯერმა რობ მურმა — ეს გამოწვევაა დერლონისთვის, თან ინგლისური პრემიერლიგა ყოველთვის ხიბლავდა. თავად სწრაფია და პრემიერლიგაშიც მისთვის სასურველ ფეხბურთს თამაშობენ".

კოკი კანდელაკი

ჩაფრინდა და მოანწერს

დენი ლანძაატი

„უიგანის" მწვრთნელმა ჰოლ ჯუელმა დაადასტურა, რომ „ალკმაარიდან" დენი ლანძაატის გადასვლის ამბავი, ფაქტობრივად, მოგვარებულია.

უიგანელებმა წინა კვირის ბოლოს „ალკმაარს" სასურველი თანხა შესთავაზეს და ჰოლანდიური კლუბიც ფეხბურთელის გაყიდვას დაყაბულდა, გუშინ კი თავად ლანძაატმა განაცხადა თანხმობა პრემიერლიგის კლუბში გადასვლაზე.

30 წლის ნახევარმცველი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში იყო, გუშინ ინგლისს ჩაფრინდა კონტრაქტზე ხელის მოსაწერად, ჰოლ ჯუელმა კი განაცხადა: „დენი იტალიაში დასასვენებლად გახლდათ. შეთანხმება მიღწეულია, მხოლოდ ხელმოწერაღა დარჩა. ხომ იცით, სანამ ფეხბურთელი თავის გვარს არ დაწერს ქაღალდზე, ტრანსფერი მოგვარებულად არ ითვლება, ამიტომაც კარგა ხანს ვმალავდით ლანძაატთან მოლაპარაკების ამბავს."

შეგახსენებთ, რომ „უიგანმა" უკვე გადაიბირა ემილ ჰესკი, კრის კირკლანდი, ფრიც ჰალი და ტომაშ სივკა.

ირაკლი ნინიძე

სერბეთი ესპანურად ილაპარაკებს

ხავიერ კლემენტე ოფიციალურად დაინიშნა სერბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. რამდენიმედღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, გადაწყდა, რომ გამოცდილი ესპანელი სპეციალისტი სერბებს ორი წლის მანძილზე უთავკაცებს. მისი ამოცანა ნაკრების ევრო 2008-ზე გაყვანა იქნება.

„ყველაფერი შევათანხმეთ. ამიერიდან სერბეთის ნაკრების თავკაცი ვარ ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის მანძილზე. ჩვენი მიზანი ფინალურ ეტაპზე გასვლაა" — თქვა 56 წლის მწვრთნელმა.

კლიმენტეს პირველი გამოცდა 16 აგვისტოს პრაღაში ელის, როდესაც სერბები ჩეხეთს ესტუმრებიან და ამხანაგურად გაეჯიბრებიან. ეს ასევე პირველი მატჩი იქნება სერბებისთვის დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით. მოგეხსენებათ, ახლახან სერბეთი და ჩერნიგორია განცალკევდნენ.

რაც შეეხება კლემენტეს, იგი თვის დასაწყისში „ბილბაოს" მთავარ მწვრთნელობიდან დაითხოვეს. მან კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკა, რაც ბასკთა ხელმძღვანელობასაც არ მოეწონა. აღსანიშნავია, რომ კლემენტემ სახელი სწორედ „ბილბაოში" პირველი მისვლისას გაითქვა, როდესაც კლუბს სამ სეზონში ორჯერ პრომერადივიზიონი მოაგებინა. 1992-დან 1998 წლამდე კი იგი ესპანეთის ნაკრებს წვრთნიდა.

კოკი კანდელაკი

ბანინი პარიზში დამწიფდება

პსჟ-მ კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი ალბერ ბანინი იყიდა. პარიზელები კამერუნელს დიდხანს უტრიალებდნენ და ახლაღა მოახერხეს შვეიცარიულ „ივერდონთან" შეთანხმება.

21 წლის ნახევარმცველს რამდენიმე ევროპული კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ ბანინი საკმაოდ ამბიციური გამოდგა და პსჟ-ზე ნაკლებ გუნდში გადასვლა არ ისურვა.

„ძალიან ბედნიერი ვარ პარიზულ გუნდში გადასვლით — განაცხადა მან — ეს უნიკალური შანსია თავის გამოჩენისთვის. ყოველთვის ფრანგულ ლიგაში თამაში მსურდა და, ალბათ, საფრანგეთის დედაქალაქის კლუბში ბურთაობა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის სასურველია".

ალბერ ბანინი ცოტა ხანს ჩინეთში, „ჟუჰაი ანპინგში" იყო, საიდანაც შვეიცარიულ „ივერდონში" აღმოჩნდა. „ჩინეთში გატარებულ დროს დაკარგულად არ ვთვლი — აღნიშნა კამერუნელმა — იქ საკმაო გამოცდილება შევიძინე".

ვაჟა ხუციშვილი

ედმილსონი 48 დღის შემდეგ



ჟოზე ედმილსონი ფეხბურთს უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მუნდიალისწინა ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო და ამის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება მოუხდა. ბევრმა ნახა მაშინ ტელევიზიით ედმონსონის ცრემლები, როცა მარიო ზაგალომ ფეხბურთელის ნაკრებს მიღმა დარჩენის ამბავი გამოაცხადა. ახლა კი, ტრავმის მიღებიდან 48 დღის შემდეგ, ჟოზემ პირველად ივარჯიშა „ბარსას" შემადგენლობასთან ერთად.

„თავს შესანიშნავად ვგრძნობ. არანაირი ტკივილი არ მაწუხებს" — განუცხადა ბრაზილიელმა ჟურნალისტებს.

ედმილსონს 1 ივნისს სან პაულუს ჰოსპიტალში გაუკეთეს ოპერაცია მარჯვენა მუხლზე. მას შემდეგ ფეხბურთელმა მხოლოდ ერთი კვირით შეისვენა და დანარჩენი დრო აღდგენით ვარჯიშებს დაუთმო.

„ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, ბრაზილიელმა ორშაბათს წვრთნა ინდივიდუალურად დაიწყო, თუმც შემდეგ დანარჩენ ბარსელონელებს შეუერთდა და ყველა სავარჯიშო უნაკლოდ შეასრულა.

ოკეანისგაღმელმა უკვე მეორე დიდი ტრავმა მოირჩინა, რაც „ბარსაში თამაშობს. ადრეც, 2004-05-ის სეზონში, მარჯვენა მუხლი იტკინა და ბურთს და მოედანს 7 თვის განმავლობაში ვერ გაეკრა.

ლადო ხომერიკი

აქაც ცოლი?

კლინსმანი ინტრიგის ჭაობს გაექცა

2006 წლის მუნდიალის დამთავრების შემდეგ გერმანელ გულშემატკივრებს, ალბათ, ისე არაფერი აღელვებდათ, როგორც იურგენ კლინსმანის წასვლა-დარჩენის ამბავი. ბევრი სპეციალისტის აზრით ხომ, ამ მწვრთნელმა მთელ გერმანელ ხალხს იმედი დაუბრუნა...

გერმანელთა ოქროს თაობის გუნდის ექსფორვარდმა, რომელიც თითქოს სულ ახლახან თავადაც ბუნდესტიმის საფეხბურთო მაისურას ატარებდა, მართლაც სასწაული მოახდინა და მუნდიალის მასპინძელს ბრინჯაოს მედლები მოაგებინა. არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე კლინსის შეგირდების გამარჯვებაში მხოლოდ ერთეულები იყვნენ დარწმუნებულნი. თან მუნდიალამდე ცოტა ხნით ადრე ამხანაგურ მატჩში იტალიასთან წაგებამაც ცეცხლზე ნავთი დაასხა — „სკუადრა აძურამ" „ნაციონალმანშაფტს" ჯოჯოხეთი მოუწყო და 4:1 გაანადგურა. კრიტიკაც აქედან დაიწყო. ახლგაზრდა მწვრთნელს გერმანიაში სისუსტესა და უმეცრებას სწამებდნენ. კლინსმანს ლანძღავდა ყველა, ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტიდან დაწყებული, უბრალო ქომაგით დასრულებული. მათ შორის გახლდათ გერმანული ფეხბურთის ჯადოქარი და მსოფლიოს მეთვრამეტე ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცი ფრანც ბეკენბაუერიც. „კიზერმა" ჯერ კიდევ 2004-ში, დანიშვნისთანავე გააკრიტიკა კლინსი, ახალგაზრდაა და სერიოზულ ტურნირებზე ჩაფლავდებაო.

თუმც 2006 წლის მუნდიალის პირველივე მატჩმა ჩააჩუმა „ბუნდესტიმის" მწვრთნელის მგინებლები. გერმანელთა შესანიშნავ თავდამსხმელებს ჯგუფში ჯერ კოსტა რიკა შეეწირა, შემდეგ პოლონეთი და ეკვადორი. მერვედფინალში მასპინძლებმა შვედეთს გადაუარეს, ხოლო შემდგომ ეტაპზე არგენტინის ბრწყინვალე გუნდთან მოიგეს ურთულესი ბრძოლა. აი, ნახევარფინალში კი გერმანიამ იტალიასთან დამატებით დროში წაადგო. თუმცა იტალია ხომ საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა...

მადლიერმა გერმანელმა ხალხმაც ერთხმად უმღერა იურგენ კლინსმანს დითირამბები. მთელ ქვეყანაში გამოჩნდა პლაკატები, რომლებშიც ახალგაზრდა სპეციალისტს ემუდარებოდნენ, გუნდის სათავეში დარჩენილიყო და ნაკრები 2008 წლის ევროპის და 2010 წლის მსოფლიოს პირველობისთვის მოემზადებინა. თვით ბეკენბაუერმაც კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ გვჯერა კლინსმანის. მას ფეხბურთელები ენდობიან. იმედი მაქვს, იურგენი ნაკრების სათავეში დარჩება".

მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა და 1990 წლის ჩემპიონთა მწვრთნელის აშკარა მლიქვნელობამაც ვერ აიძულა ჰერ იურგენ კლინსმანი, კვლავაც ნაციონალური გუნდის მესაჭედ დარჩენილიყო.

მაშ, რა არის მიზეზი კლინსის უარისა, რომელიც გერმანელ ქომაგთა უმრავლესობამ დღესაც ვერ გაიგო? ამის ასახსნელად ახლო წარსულში დაბრუნება მოგვიწევს, იქნებ ბუნდესნაკრების ექსმწვრთნელის უარი ადრინდელი ამბებით ავხსნათ.

ბოლო წლებში გერმანიის ნაკრები კარგ ფეხბურთს ვერ თამაშობდა. ან ჯობს, პირდაპირ ვთქვათ, რომ მეტწილად ფრიად უღიმღამოდ ბურთაობდნენ. ერთადერთი გამობრწყინება 2002-ში იყო, სადაც რუდი ფიოლერის მოწაფეებმა მუნდიალის ფინალს მიაღწიეს და იქ ბრაზილიასთან 0:2 დამარცხდნენ. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე „ნაციონალმანშაფტმა" ჯგუფში მარტო ორი ქულა მოაგროვა და გულშემატკივრები საშინელი თამაშით გადარია. გერმანული ფეხბურთის მესვეურებმაც დამღუპველი რეალობა კარგად შეიგნეს და იმ ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყეს, ნაკრებისთვის ძველი დიდების დაბრუნებას რომ შეძლებდა. პირველად, რა თქმა უნდა, ევრო 2004-ზე საბერძნეთისთვის ოქროს მედლების მომტან ოტო რეჰაგელს დაუკავშირდნენ, მაგრამ ჰერ ოტომ დამრიგებლობაზე უარი განაცხადა, ისევე როგორც სხვა რამდენიმე სახელოვანმა კანდიდატმა. აი, სწორედ მაშინ „აღმოაჩინეს" იურგენ კლინსმანი. კლინსი ამერიკაში მეუღლესთან, ფოტომოდელ დები ჩინთან ერთად ცხოვრობდა და ბიზნესიც საათვით ჰქონდა აწყობილი. თუმცა ლეგენდარული ფეხბურთელი უცებ დათანხმდა ნაკრების მწვრთნელობაზე — ეტყობა, აშშ-ში ბურჟუაზიული, მშვიდი ცხოვრება ყელში ჰქონდა ამოსული. მოკლედ, კლინსმანი დამრიგებელი გახდა და გუნდის თავისებურად მოწყობაც დაიწყო. ახალი თავკაცის აზრით, ნაკრები უნდა გაახალგაზრდავებულიყო და შემტევი ფეხბურთი ეთამაშა — სათანადო, შესანიშნავი ფიზიკური მომზადების წყალობით, რა თქმა უნდა...

კრიტიკოსები კლინსის მაშინვე გამოუჩნდნენ. ჯერ იყო და ახალი მწვრთნელი ამერიკაში უფრო ხშირად იმყოფებოდა, ვიდრე გუნდთან ერთად. შემდეგ, როგორც ამას ბეკენბაუერი და მისი თანამოაზრეები აღშფოთებით აღნიშნავდნენ, იურგენ კლინსმანმა ფეხბურთის ყველა დაკანონებულ წესს გადაუხვია. იგი ორიენტაციას აკეთებდა არა გამოცდილებაზე ან ჯანმრთელ პრაგმატიზმზე, არამედ ახალგაზრდა მოთამაშეებზე და მათ დაუძლეველ სურვილზე, ყველა მატჩში გაემაჯვათ... ერთიც კიდევ — გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გავლენიანი კაცი ფრანც ბეკენბაუერი, კლინსის ძველი მტერი გახლდათ. გავიხსენოთ — როცა იურგენი ფეხბურთელის კარიერას ამთავრებდა, დიდ სპორტთან გამოსათხოვარი გრანდიოზული მატჩის ჩატარებაც ანზიახლა. შინ „კაიზერმა" ძალიან ნაგატიერად შესვლა ამ ამბავს და გაცცა- და კიდევ „ასეთი გამოსათხოვარი თამაშის ჩატარების უფლება მხოლოდ ლოთარ მათეუსს გააჩნია..." მათეუსი და კლინსმანი კი დიდი მეგობრობით არასდროს გამოირჩეოდნენ, სულ კინკლაობა ჰქონდათ ერთმანეთში... აი, ასე წავიდა ფეხბურთიდან გასული საუკუნის 80-90-იანი წლების გერმანელთა ყველაზე საუკეთესო მოიერიშე — კლინსმანი ზურგს უკან სისინით და შურიანი ჩურჩულით გააცილეს.

ალბათ, ალემანთათვის შინაურ მუნდიალზე ბრინჯაოს მედლების მომტან კაცს, ხელმეორედ კულუარულ ინტრიგების ჭაობში ჩაყვინთვა აღარ უნდოდა. ახლა მას სრულად გერმანია აღმერთებს, მაგრამ შტუტგარტელი მეფუნთუშის შვილს ისიც მშვენივრად ახსოვს, ფეხბურთელების ბოლოს და მწვრთნელის კარიერის დასაწყისში რა ლანძღვა-გინების ნიაღვარიც დაატეხეს თავზე...

არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმად, გერმანელს ცოლმა, დები ჩინმა ათქმევინა მწვრთნელობაზე უარი. ფრაუ კლინსმანი ამერიკაში ბრწყინვალედ მოეწყო და ოჯახით გერმანიაში გადმობარგებაზე სასტიკი უარი განაცხადა.

ისე, ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან აბობოქრდნენ ცნობილი ფეხბურთელების და მწვრთნელების მეუღლეები. ანდრეი შევჩენკოც ხომ ცოლის თხოვნით გადავიდა „მილანიდან" ლონდონურ „ჩელსიში".

ლადო ხომერიკი

დები ჩინი დაქორწინებამდე

ლი ჰენდრი

ბოსი გვანახეთ!

„ასტონ ვილას" ავჯანყებულმა ფეხბურთელებმა კლუბის თავმჯდომარე დუგ ელსთან შეხვედრა მოითხოვეს, რათა საბოლოოდ გაარკვიონ ყველა საკითხი.

წინა კვირაში ვილელებმა კრიტიკული ღია განცხადება გამოაქვეყნეს და ძუნწი თავმჯდომარე ამხილეს. თუმცა, მერე ითქვა, რომ განცხადებისას ფეხბურთელებმა არაფერი იცოდნენ, მენეჯერმა დევიდ ოლირიმ კი ოფიციალურად უარყო მის შედგენაში მონაწილეობა.

განცხადებაში იმაზე იყო ლაპარაკი, რომ კლუბი ვერც კი ემზადება ახალი სეზონისთვის თავმჯდომარის სიძუნწის გამო.

ასე იყო თუ ისე, ფეხბურთელებს დიდ ბოსთან შეხვედრა უნდათ.

„ჩვენ გაურკვევლობაში ვართ — თქვა ლი ჰენდრიმ — არაფერი ვიცით ხვალინდელი დღისა. ერთმანეთში კი ვილაპარაკეთ, მაგრამ ყველაფერს უფროსობა წყვეტს".

ირაკლი გამყრელიძე

ნორვეგია

ტიპელიგა

XIII ტური

ბრანი 2:0 ვიკინგი

ბრანი	13	8	4	1	21:11	28
ლილესტრიომი	12	6	4	2	21:14	22
რუსენბორგი	13	5	6	2	18:13	21
სტაბეკი	13	4	7	2	19:13	19
ოდ გრენლანდი	13	4	7	2	18:13	19
ვოლერენგა	13	5	4	4	16:13	19
სანდეფიორდი	13	5	3	5	18:20	18
ჰამ კამი	13	4	3	6	18:18	15
ლინი	12	4	3	5	11:14	15
ვიკინგი	13	3	5	5	10:14	14
მიოლდე	13	4	2	7	15:22	14
ფრედრიკსტადი	13	3	4	6	16:23	13
სტარტი	13	2	6	5	10:16	12
ტრომსიო	13	2	4	7	11:18	10

შვედეთი

ალსვენსკა. X ტური

ჰამარბი 2:0 იოსტერსი

ჰელსინგბორგი 1:3 ჰეკენი

ჰამარბი	10	7	2	1	19:10	23
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
აიკ	10	5	3	2	18:12	18
მალმიო	10	5	3	2	14:9	18
ელფსბორგი	10	4	5	1	14:10	17
იურგორდენი	10	4	4	2	11:8	16
კალმარი	9	4	2	3	12:8	14
გეფლე	9	3	3	3	8:11	12
ჰეკენი	10	2	4	4	12:13	10
ჰელსინგბორგი	10	2	4	4	13:15	10
გაის	9	2	3	4	8:12	9
ჰალმსტადი	10	1	5	4	4:9	8
იოსტერსი	10	1	2	7	4:19	5
იორგრიტე	9	0	3	6	6:14	3

ინგლისი. პრემიერლიგა 2006-2007

2006 წელი

1-ლი ტური, 19 აგვისტო
ვესტ ჰემი : ჩარლტონი
არსენალი : ასტონ ვილა
ბოლტონი : ტოტენჰემი
ჩელსი : სიტი
ევერტონი : უოტფორდი
მანჩესტერი : ფულემი
ნიუკასლი : უიგანი
პორტსმუთი : ბლექბერნი
რედინგი : მიდლსბრო
შეფილდი : ლივერპული

მე-2 ტური, 22-23 აგვისტო
ჩარლტონი : მანჩესტერი
მიდლსბრო : ჩელსი
ტოტენჰემი : შეფილდი
უოტფორდი : ვესტ ჰემი
ასტონ ვილა : რედინგი
ბლექბერნი : ევერტონი
ფულემი : ბოლტონი
სიტი : პორტსმუთი

მე-3 ტური, 26 აგვისტო
ასტონ ვილა : ნიუკასლი
ბლექბერნი : ჩელსი
ჩარლტონი : ბოლტონი
ფულემი : შეფილდი
ლივერპული : ვესტ ჰემი
სიტი : არსენალი
მიდლსბრო : პორტსმუთი
ტოტენჰემი : ევერტონი
უოტფორდი : მანჩესტერი
უიგანი : რედინგი

მე-4 ტური, 9 სექტემბერი
ვესტ ჰემი : ასტონ ვილა
არსენალი : მიდლსბრო
ბოლტონი : უოტფორდი
ჩელსი : ჩარლტონი
ევერტონი : ლივერპული
მანჩესტერი : ტოტენჰემი
ნიუკასლი : ფულემი
პორტსმუთი : უიგანი
რედინგი : სიტი
შეფილდი : ბლექბერნი

მე-5 ტური, 16 სექტემბერი
უოტფორდი : ასტონ ვილა
ვესტ ჰემი : ნიუკასლი
ბლექბერნი : სიტი
ბოლტონი : მიდლსბრო
ჩარლტონი : პორტსმუთი
ჩელსი : ლივერპული
ევერტონი : უიგანი
მანჩესტერი : არსენალი
შეფილდი : რედინგი
ტოტენჰემი : ფულემი

მე-6 ტური, 23 სექტემბერი
პორტსმუთი : ბოლტონი
რედინგი : მანჩესტერი
უიგანი : უოტფორდი
არსენალი : შეფილდი
ასტონ ვილა : ჩარლტონი
ფულემი : ჩელსი
ლივერპული : ტოტენჰემი
სიტი : ვესტ ჰემი
მიდლსბრო : ბლექბერნი
ნიუკასლი : ევერტონი

მე-7 ტური, 30 სექტემბერი
შეფილდი : მიდლსბრო
ტოტენჰემი : პორტსმუთი
უოტფორდი : ფულემი
ვესტ ჰემი : რედინგი
ბლექბერნი : უიგანი
ბოლტონი : ლივერპული
ჩარლტონი : არსენალი
ჩელსი : ასტონ ვილა
ევერტონი : სიტი
მანჩესტერი : ნიუკასლი

მე-8 ტური, 14 ოქტომბერი
მიდლსბრო : ევერტონი
ნიუკასლი : ბოლტონი
პორტსმუთი : ვესტ ჰემი
რედინგი : ჩელსი
უიგანი : მანჩესტერი
არსენალი : უოტფორდი
ასტონ ვილა : ტოტენჰემი
ფულემი : ჩარლტონი
ლივერპული : ბლექბერნი
სიტი : შეფილდი

მე-9 ტური, 21 ოქტომბერი
ევერტონი : შეფილდი
მანჩესტერი : ლივერპული
მიდლსბრო : ნიუკასლი
რედინგი : არსენალი
ტოტენჰემი : ვესტ ჰემი
უიგანი : სიტი
ასტონ ვილა : ფულემი
ბლექბერნი : ბოლტონი
ჩარლტონი : უოტფორდი
ჩელსი : პორტსმუთი

მე-10 ტური, 28 ოქტომბერი
სიტი : მიდლსბრო
ნიუკასლი : ჩარლტონი
პორტსმუთი : რედინგი
შეფილდი : ჩელსი
უოტფორდი : ტოტენჰემი
ვესტ ჰემი : ბლექბერნი
არსენალი : ევერტონი
ბოლტონი : მანჩესტერი
ფულემი : უიგანი
ლივერპული : ასტონ ვილა

მე-11 ტური, 4 ნოემბერი
ფულემი : ევერტონი
ლივერპული : რედინგი
მანჩესტერი : პორტსმუთი
ნიუკასლი : შეფილდი
ტოტენჰემი : ჩელსი
უოტფორდი : მიდლსბრო
ვესტ ჰემი : არსენალი
ასტონ ვილა : ბლექბერნი
ბოლტონი : უიგანი
ჩარლტონი : სიტი

მე-12 ტური, 11 ნოემბერი
ჩელსი : უოტფორდი
ევერტონი : ასტონ ვილა
სიტი : ნიუკასლი
მიდლსბრო : ვესტ ჰემი
პორტსმუთი : ფულემი
რედინგი : ტოტენჰემი
შეფილდი : ბოლტონი
უიგანი : ჩარლტონი
არსენალი : ლივერპული
ბლექბერნი : მანჩესტერი

მე-13 ტური, 18 ნოემბერი
ბლექბერნი : ტოტენჰემი
ჩელსი : ვესტ ჰემი
ევერტონი : ბოლტონი
სიტი : ფულემი
მიდლსბრო : ლივერპული
პორტსმუთი : უოტფორდი
რედინგი : ჩარლტონი
შეფილდი : მანჩესტერი
უიგანი : ასტონ ვილა
არსენალი : ნიუკასლი

მე-14 ტური, 25 ნოემბერი
ვესტ ჰემი : შეფილდი
ასტონ ვილა : მიდლსბრო
ბოლტონი : არსენალი
ჩარლტონი : ევერტონი
ფულემი : რედინგი
ლივერპული : სიტი
მანჩესტერი : ჩელსი
ნიუკასლი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : უიგანი
უოტფორდი : ბლექბერნი

მე-15 ტური, 28-29 ნოემბერი
ბოლტონი : ჩელსი
უოტფორდი : შეფილდი
ასტონ ვილა : სიტი
ფულემი : არსენალი
ლივერპული : პორტსმუთი
მანჩესტერი : ევერტონი

მე-16 ტური, 2 დეკემბერი
ჩელსი : ნიუკასლი
ევერტონი : ვესტ ჰემი
სიტი : უოტფორდი
მიდლსბრო : მანჩესტერი
პორტსმუთი : ასტონ ვილა
რედინგი : ბოლტონი
შეფილდი : ჩარლტონი
უიგანი : ლივერპული
არსენალი : ტოტენჰემი
ბლექბერნი : ფულემი

გადადებული მატჩები, 5-6 დეკემბერი
ჩარლტონი : ბლექბერნი
ტოტენჰემი : მიდლსბრო
ნიუკასლი : რედინგი
ვესტ ჰემი : უიგანი


ფრენკ ლამპარდი

მე-17 ტური, 9 დეკემბერი
შეფილდი : ასტონ ვილა
ტოტენჰემი : ჩარლტონი
უოტფორდი : რედინგი
ბლექბერნი : ნიუკასლი
ბოლტონი : ვესტ ჰემი
ჩელსი : არსენალი
ლივერპული : ფულემი
მანჩესტერი : სიტი
მიდლსბრო : უიგანი
პორტსმუთი : ევერტონი

მე-18 ტური, 16 დეკემბერი
ნიუკასლი : უოტფორდი
რედინგი : ბლექბერნი
ვესტ ჰემი : მანჩესტერი
უიგანი : შეფილდი
არსენალი : პორტსმუთი
ასტონ ვილა : ბოლტონი
ჩარლტონი : ლივერპული
ევერტონი : ჩელსი
ფულემი : მიდლსბრო
სიტი : ტოტენჰემი

მე-19 ტური, 23 დეკემბერი
მიდლსბრო : ჩარლტონი
ნიუკასლი : ტოტენჰემი
პორტსმუთი : შეფილდი
რედინგი : ევერტონი
უიგანი : ჩელსი
არსენალი : ბლექბერნი
ასტონ ვილა : მანჩესტერი
ფულემი : ვესტ ჰემი
ლივერპული : უოტფორდი
სიტი : ბოლტონი

მე-20 ტური, 26 დეკემბერი
ევერტონი : მიდლსბრო
მანჩესტერი : უიგანი
შეფილდი : სიტი
ტოტენჰემი : ასტონ ვილა
უოტფორდი : არსენალი
ვესტ ჰემი : პორტსმუთი
ბლექბერნი : ლივერპული
ბოლტონი : ნიუკასლი
ჩარლტონი : ფულემი
ჩელსი : რედინგი

21-ე ტური, 30 დეკემბერი
ჩელსი : ფულემი
ევერტონი : ნიუკასლი
მანჩესტერი : რედინგი
შეფილდი : არსენალი
ტოტენჰემი : ლივერპული
უოტფორდი : უიგანი
ვესტ ჰემი : მანჩესტერი
ბლექბერნი : მიდლსბრო
ბოლტონი : პორტსმუთი
ჩარლტონი : ასტონ ვილა

2007 წელი

22-ე ტური, 1 იანვარი
ფულემი : უოტფორდი
ლივერპული : ბოლტონი
სიტი : ევერტონი
მიდლსბრო : შეფილდი
ნიუკასლი : მანჩესტერი
პორტსმუთი : ტოტენჰემი
რედინგი : ვესტ ჰემი
უიგანი : ბლექბერნი
არსენალი : ჩარლტონი
ასტონ ვილა : ჩელსი

23-ე ტური, 1-3 იანვარი
ჩარლტონი : მიდლსბრო
ჩელსი : უიგანი
ევერტონი : რედინგი
მანჩესტერი : ასტონ ვილა
შეფილდი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : ნიუკასლი
უოტფორდი : ლივერპული
ვესტ ჰემი : ფულემი
ბლექბერნი : არსენალი
ბოლტონი : სიტი

24-ე ტური, 20 იანვარი
ასტონ ვილა : უოტფორდი
ფულემი : ტოტენჰემი
ლივერპული : ჩელსი
სიტი : ბლექბერნი
მიდლსბრო : ბოლტონი
ნიუკასლი : ვესტ ჰემი
პორტსმუთი : ჩარლტონი
რედინგი : შეფილდი
უიგანი : ევერტონი
არსენალი : მანჩესტერი

25-ე ტური, 30-31 იანვარი
არსენალი : სიტი
ბოლტონი : ჩარლტონი
პორტსმუთი : მიდლსბრო
რედინგი : უიგანი
შეფილდი : ფულემი
ვესტ ჰემი : ლივერპული
ჩელსი : ბლექბერნი
ევერტონი : ტოტენჰემი
მანჩესტერი : უოტფორდი
ნიუკასლი : ასტონ ვილა

26-ე ტური, 3 თებერვალი
უოტფორდი : ბოლტონი
უიგანი : პორტსმუთი
ასტონ ვილა : ვესტ ჰემი
ბლექბერნი : შეფილდი
ჩარლტონი : ჩელსი
ფულემი : ნიუკასლი
ლივერპული : ევერტონი
სიტი : რედინგი
მიდლსბრო : არსენალი
ტოტენჰემი : მანჩესტერი

27-ე ტური, 10 თებერვალი
რედინგი : ასტონ ვილა
შეფილდი : ტოტენჰემი
ვესტ ჰემი : უოტფორდი
არსენალი : უიგანი
ბოლტონი : ფულემი
ჩელსი : მიდლსბრო
ევერტონი : ბლექბერნი
მანჩესტერი : ჩარლტონი
ნიუკასლი : ლივერპული
პორტსმუთი : სიტი

28-ე ტური, 24 თებერვალი
მიდლსბრო : რედინგი
ტოტენჰემი : ბოლტონი
უოტფორდი : ევერტონი
უიგანი : ნიუკასლი
ასტონ ვილა : არსენალი
ბლექბერნი : პორტსმუთი
ჩარლტონი : ვესტ ჰემი
ფულემი : მანჩესტერი
ლივერპული : შეფილდი
სიტი : ჩელსი

29-ე ტური, 3 მარტი
პორტსმუთი : ჩელსი
შეფილდი : ევერტონი
უოტფორდი : ჩარლტონი
ვესტ ჰემი : ტოტენჰემი
არსენალი : რედინგი
ბოლტონი : ბლექბერნი
ფულემი : ასტონ ვილა
ლივერპული : მანჩესტერი
სიტი : უიგანი
ნიუკასლი : მიდლსბრო

30-ე ტური, 17 მარტი
მანჩესტერი : ბოლტონი
მიდლსბრო : სიტი
რედინგი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : უოტფორდი
უიგანი : ფულემი
ასტონ ვილა : ლივერპული
ბლექბერნი : ვესტ ჰემი
ჩარლტონი : ნიუკასლი
ჩელსი : შეფილდი
ევერტონი : არსენალი

31-ე ტური, 31 მარტი
ლივერპული : არსენალი
მანჩესტერი : ბლექბერნი
ნიუკასლი : სიტი
ტოტენჰემი : რედინგი
უოტფორდი : ჩელსი
ვესტ ჰემი : მიდლსბრო
ასტონ ვილა : ევერტონი
ბოლტონი : შეფილდი
ჩარლტონი : უიგანი
ფულემი : პორტსმუთი

32-ე ტური, 7 აპრილი
ევერტონი : ფულემი
სიტი : ჩარლტონი
მიდლსბრო : უოტფორდი
პორტსმუთი : მანჩესტერი
რედინგი : ლივერპული
შეფილდი : ნიუკასლი
უიგანი : ბოლტონი
არსენალი : ვესტ ჰემი
ბლექბერნი : ასტონ ვილა
ჩელსი : ტოტენჰემი

33-ე ტური, 9 აპრილი
ჩარლტონი : რედინგი
ფულემი : სიტი
ლივერპული : მიდლსბრო
მანჩესტერი : შეფილდი
ნიუკასლი : არსენალი
ტოტენჰემი : ბლექბერნი
უოტფორდი : პორტსმუთი
ვესტ ჰემი : ჩელსი
ასტონ ვილა : უიგანი
ბოლტონი : ევერტონი

34-ე ტური, 14 აპრილი
ბლექბერნი : უოტფორდი
ჩელსი : მანჩესტერი
ევერტონი : ჩარლტონი
სიტი : ლივერპული
მიდლსბრო : ასტონ ვილა
პორტსმუთი : ნიუკასლი
რედინგი : ფულემი
შეფილდი : ვესტ ჰემი
უიგანი : ტოტენჰემი
არსენალი : ბოლტონი

35-ე ტური, 21 აპრილი
ასტონ ვილა : პორტსმუთი
ბოლტონი : რედინგი
ჩარლტონი : შეფილდი
ფულემი : ბლექბერნი
ლივერპული : უიგანი
მანჩესტერი : მიდლსბრო
ნიუკასლი : ჩელსი
ტოტენჰემი : არსენალი
უოტფორდი : სიტი
ვესტ ჰემი : ევერტონი

36-ე ტური, 28 აპრილი
უიგანი : ვესტ ჰემი
არსენალი : ფულემი
ბლექბერნი : ჩარლტონი
ჩელსი : ბოლტონი
ევერტონი : მანჩესტერი
სიტი : ასტონ ვილა
მიდლსბრო : ტოტენჰემი
პორტსმუთი : ლივერპული
რედინგი : ნიუკასლი
შეფილდი : უოტფორდი

37-ე ტური, 5 მაისი
ვესტ ჰემი : ბოლტონი
უიგანი : მიდლსბრო
არსენალი : ჩელსი
ასტონ ვილა : შეფილდი
ჩარლტონი : ტოტენჰემი
ევერტონი : პორტსმუთი
ფულემი : ლივერპული
სიტი : მანჩესტერი
ნიუკასლი : ბლექბერნი
რედინგი : უოტფორდი

38-ე ტური, 13 მაისი
შეფილდი : უიგანი
ტოტენჰემი : სიტი
უოტფორდი : ნიუკასლი
ბლექბერნი : რედინგი
ბოლტონი : ასტონ ვილა
ჩელსი : ევერტონი
ლივერპული : ჩარლტონი
მანჩესტერი : ვესტ ჰემი
მიდლსბრო : ფულემი
პორტსმუთი : არსენალი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ავსტრია. ბუნდესლიგა

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	2	ალტახი-პაშინგი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:30	3	მატერსბურგი-რაპიდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:30	4	რიდი-ზალცბურგი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
21:30	5	შტურმი-ტიროლი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61

შვეიცარია. სუპერლიგა

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:45	11	აარაუ-თუნი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
21:45	12	გრასჰოპერი-სიონი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
21:45	13	შაფჰაუზენი-სტ.ვალენი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
21:45	14	იანგ ბოიზი-ბაზელი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
22:15	15	ლუცერნი-ციურიხი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20

რუსეთი

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	30	მოსკოვი-ტორპედო	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
19:00	31	დინამო-რუბინი	2.25	2.90	2.95	1.26	1.27	1.46
19:00	32	ზენიტი-ცსკა	2.85	2.80	2.45	1.41	1.31	1.30

დანია. სუპერლიგა

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	46	ოლბორგი-ვიბორგი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
22:00	47	ბრიონდბიუ-ვეილე	1.17	5.80	13.00	1.00	1.07	4.01
21:00	48	ესბიერგი-სილკებორგი	1.85	3.40	3.85	1.19	1.24	1.80
21:00	49	ჰორსენსი-კოპენჰაგენი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
21:00	50	ნორდსიელანდი-რანდერსი	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
21:00	51	ოდენსე-მიდტიულანდი	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81

ნორვეგია. ტიპელიგა

22 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	60	მოლდე-ოდ გრენლანდი	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
21:00	61	ვოლერენგა-ლინი	2.25	3.20	2.65	1.32	1.21	1.44

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	62	ჰამარი-სანდეფიორდი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
20:00	63	სტარტი-რუსენბორგი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
22:00	64	ფრედრიკსტადი-ვიკინგი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	65	სტაბეკი-ტრომსიო	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69

შვედეთი. ალსვენსკა

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	77	იორგრიტე-კალმარი	2.75	3.30	2.35	1.50	1.26	1.37

ფინეთი

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	87	იარო-კტპ	1.85	3.30	3.85	1.18	1.24	1.77
19:30	88	ტამპერე-ჰიკ	1.85	3.30	3.85	1.18	1.24	1.77

ირლანდია

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	95	ლონგფორდი-სტ.პატრიკსი	2.60	3.00	2.50	1.39	1.27	1.36

იაპონია

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	102	ნიიგატა-ურავა	2.60	3.00	2.45	1.39	1.26	1.34
14:00	103	ჩერეძო-ოიტა	2.60	3.10	2.40	1.41	1.24	1.35
14:00	104	ფუკუოკა-ტოკიო	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
14:00	105	იჩიჰარა-გამბა	2.45	3.00	2.55	1.34	1.24	1.37
14:00	106	კაშიმა-კავასაკი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
14:00	107	კოფუ-კუიტო	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
14:00	108	ნაგოია-ჰიროსიმა	2.20	3.00	2.95	1.26	1.26	1.48
14:00	109	ომია-ივატა	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
14:00	110	შიმიცუ-იოკოჰამა	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42

აშშ

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	120	კოლამბუსი-ნიუ იორკი	2.10	3.00	3.10	1.23	1.25	1.52

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	121	კოლორადო-ჩიკაგო	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62

ჩემპიონთა ლიგა

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	150	აჯაქსი-მეტალურგი ლ	2.55	3.20	2.35	1.41	1.22	1.35
22:00	151	აპოლონი ლ-კორკი ს	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
22:00	152	გორიცა-ლინფილდი	1.20	5.40	9.00	1.00	1.05	3.37
22:00	153	ბ ვნტორშავნი-ბირკირკარა	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
22:30	154	შრიუი ბრიეკი-შახტიორი სოლ	1.85	3.50	3.40	1.21	1.19	1.72
22:30	155	ტნს-მიუპა	3.60	3.20	1.85	1.69	1.22	1.17
23:15	156	ჰაფნარფიორდური-ტემკ ტალინი	1.55	3.50	5.40	1.07	1.20	2.12

ნორვეგია. თასი

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	320	ფრედრიკსტადი-ბრინი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
20:00	321	სონგდალი-ფოლო	1.45	3.80	6.30	1.04	1.17	2.37
20:00	322	ვოლერენგა-ალესუნდი	1.45	3.80	6.30	1.04	1.17	2.37
22:00	323	ლილესტრიომი-ლინი	2.05	3.30	3.10	1.26	1.23	1.59
20:00	324	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
21:00	325	სტარტი-ბრანი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
20:00	326	ჰამარი-სანდეფიორდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62

ბრაზილიის თასი

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	258	ფლამენგო-ვასკუ და გამა	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39

ლიბერტადორესის თასი

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	260	ინტერნასიონალი-ქუიტო	1.35	3.70	7.00	1.00	1.13	2.42
23:45	261	სან პაულუ-ესტუდიანტესი	1.40	3.50	6.50	1.00	1.15	2.27

20 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	262	ველესი-ჩივასი	1.70	3.20	4.30	1.11	1.21	1.83

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

სანიკიძემ ჩეხეთი აჩეხა

ვიქტორ სანიკიძე

საქართველო 98:88 ჩეხეთი
20:28 22:25 30:19 26:16

საქართველო: გამყრელიძე (11), ცინცაძე (18), დიდია (16), სანიკიძე (35), გვიმრაძე; ლეჟავა (10), საყვარელიძე (8)

ქართველმა ახალგაზრდებმა გუშინ სერიოზული განაცხადი გააკეთეს ლისაბონში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე. პირველი ეტაპის წარმატებით დაძლევის კვალად დავით უსტიაშვილის სამწყსომ მეორე ჯგუფური ეტაპიც გამარჯვებით დაიწყო. ქართველებს ტანმაღალი მოთამაშეებით გაძეძგილ ჩეხეთთან თავიდან გაუჭირდათ, მაგრამ მეორე ტაიმიდან ფარქვეშაც იძალეს და საბოლოოდ დამაჯერებლადაც იმარჯვეს — 98:88.

„ძალიან ძლიერ გუნდს მოვუგეთ, ჩეხებს სამი 210 სანტიმეტრს აცილებული მოთამაშე ჰყავდათ და სამქულიანების ოსტატებიც არ აკლდათ — გვითხრა *დავით უსტიაშვილმა* გუშინ, თამაშის შემდეგ ლისაბონში რომ შევეხმიანეთ — ამიტომაც იყო, თავიდან რომ გაგვიჭირდა, ჩეხები ჩვენს ფარქვეშ გამაგრდნენ და აცილებული ბურთები ხშირ შემთხვევაში მათი ნადავლი ხდებოდა. მეორე ტაიმიდან განსაკუთრებული ყურადღება დაცვას დავუთმეთ და ჩეხების მეფარეებს პერსონალური მეურვეება მივუჩინეთ“.

უსტიაშვილის ტაქტიკამ გაამართლა, ვიქტორ სანიკიძემ და რევაზ დიდიამ ტოლი არ დაუდეს 5-10 სანტიმეტრით მაღალ მეტოვეებს და ქართველებმაც ამოისუნთქეს.

„ფაქტობრივად, სანიკიძემ და დიდიამ მარტოებმა მოუგეს ფარი ტანმაღალ ჩეხებს. ამავდროულად სწრაფი შეტევებიც გამოგვივიდა და რაც მთავარია, შორი სროლები წაგვივიდა. მესამე მეოთხედში 10-ქულიანი ჩამორჩენა მთლიანად გავაბათილეთ და გადამწყვეტი მეოთხედის წინ ანგარიში გავათანაბრეთ“ — გვითხრა უსტიაშვილმა.

მანამდე დაცვაში ჩაუქად მოთამაშე სანიკიძემ ბოლო მეოთხედში მთლად გაილაღა, შეტევაშიც გამოიჩინა სიზუსტე და საბოლოოდ 35 ქულაც მოაქუჩა. საინტერესოა, რომ თუ აქამდე ქართველთა მონაგარს ძირითადად 3 მოთამაშე აკოწიწებდა — სანიკიძე, ცინცაძე, ლეჟავა - ახლა ჩვენიანებმა მეტი გუნდურობა გამოიჩინეს. ერთბაშად ხუთმა მოთამაშემ გადალახა ათქულიანი ზღვარი.

„გამარჯვება კი კარგია, მაგრამ ტანმაღალ მოთამაშეებთან უთანასწორო ბრძოლას დიდი ენერგია მიაქვს. თანაც მხოლოდ 7 კალათბურთელი ვათამაშე, ექსპერიმენტების დრო არ იყო. ბიჭები ძალიან გადაიღალნენ. თუმც მადლობა ღმერთს, ტრავმა არავის მიუღია. ხვალ უკრაინას ვეთამაშებით, რომელსაც ჩეხეთზე უკეთესი მეფარეები ჰყავს, თუმცა ბოლო მატჩების შემხედვარე მაინც იმედიანად ვარ. თუ ვიმარჯვებთ, ნახევარფინალის საგზურს თითქმის გავინაღდებთ“ — ოპტიმისტურად დაასრულა ჩვენთან საუბარი დავით უსტიაშვილმა.

ნახევარფინალიდან **A** დივიზიონამდე ერთი ნაბიჯია — ელიტაში ხომ ფინალში გასული გუნდები ინაცვლებენ. თუმცა მანამდე უკრაინის, ანაც პოლონეთის დამარცხება მართებთ უსტიაშვილის შეგირდებს.

ირაკლი პერტაია



პოლ პირსი „ბოსტონის“ ერთგულია

მარადმწვანე პირსი

ახლა, როდესაც ნბა-ს ყველა დიდვარსკვლავს პატრონი გამოუჩნდა (ზოგმა ახალი გუნდი ნახა, კონტრაქტამოწურულთა მეტი წილი კი ძველში დარჩა), ყველა ერთ საკითხზე იმტვრევს თავს — სად გააგრძელებს კარიერას ალენ აივერსონი.

ნბა-ს ოთხგზის მთავარმექანეულე და შვიდგზის ოლსტარელი ჯერაც „ფილადელფიას“ ეკუთვნის, თუმც კულუარული ხმებით, „სიქსერზს“ მისი გაცვლა სურს და რამდენიმე კლუბთან მოლაპარაკებასაც აწარმოებს. „დენვერი“ აივერსონის ნაცვლად მარკუს კემბის და ანდრე მილერს გამოდის, „კლიპერსი“ კი კორი მეჯიტს და შონ ლივინგსტონს, თუმც ყველაზე რეალური „ბოსტონის“ ვარიანტი ჩანს. „სიქსერზი“ და „სელტიქსი“ ლამის ნახევარი საუკუნეა, ერთმანეთს მტრობენ, მაგრამ ამ უკანასკნელის მესვეურები აივერსონის სანაცვლოდ მზად არიან, ნახევარი გუნდი ფილადელფიაში გაუშვან.

თავად აივერსონს კი ძველ ფარეხში დარჩენა სურს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძველ გუნდს ძველებურად სჭირდება — „მე მინდა, რომ ისევ „სიქსერზში“ ვიყო — ამბობს ჭინკა სუპერვარსკვლავი — პირველი დღიდანვე მხოლოდ აქ ყოფნა მინდა, მაგრამ თუ კლუბი თვლის, რომ ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე, უმჯობესი, მართლა გამცვალოს.“

აივერსონი ნბა-ში მისვლის დღიდან ანუ სრული ათი სეზონი „ფილადელფიისთვის“ იხვეჭს ქულებს. მოქმედ კალათბურთელთაგან ძველ გუნდს ამაზე მეტხანს მხოლოდ ერთადერთი შემორჩა — კევინ გარნეტი და „მინესოტა“ 11 წელია თანამშრომლობენ.

მაგრამ აივერსონი უკვე 31 წლისაა და მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო სეზონი ჰქონდა, საშუალოდ მატჩში 33 ქულას იხვეჭდა, „ფილადელფია“ მაინც ვერ გავიდა პლეი ოფში. ამასთან აივერსონის კონტრაქტი ზუსტად ერთი წლის შემდეგ იწურება და სანამ თავისუფალი აგენტი გახდებოდეს, „სიქთერზის“ ბოსები მანამდე ცდილობენ, მისგან მაქსიმალური სარგებელი ნახონ.

აივერსონი იმასაც ამბობს, ნებისმიერ გუნდში ვითამაშებო, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად კარგად შეეწყობა თუნდაც „ბოსტონ სელტიქსს“. „ფილადელფიაში“ ის მეფეა, „ბოსტონში“ კი მას კიდევ ერთი სუპერმოთამაშე დახვდება — პოლ პირსი, რომელიც არცთუ სიამოვნებით დაუთმობს ლიდერის სტატუსს გინდაც აივერსონს და გინდაც სხვა ნებისმიერს.

გუშინწინ „ბოსტონმა“ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ თავის მომავლად თვლის პოლ პირსს და სულაც არ აპირებს, მას შეელიოს. მიუხედავად იმისა, რომ პირსი კონტრაქტით კიდევ ორი წელი ეკუთვნის „სელტიქსს“, კლუბმა აქედანვე დაიჭირა თადარიგი და კიდევ სამი წლით დაიტოვა. ნბა-ს ყველაზე სახელიანი გუნდის ლიდერი მომავალ სეზონში ჯამაგირად 15,1 მილიონს მიიღებს. შემდეგ 16,3 მილიონს, 2008 წლიდან კი ძალაში შევა ახლახან ხელმოწერილი 3-წლიანი და 60-მილიონიანი კონტრაქტი.

„პოლი „სელტიქსის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და ბედნიერები ვართ, რომ ის ჩვენთან კიდევ ხუთი წლით რჩება“ — ამბობს კლუბის ერთ-ერთი შეფი დენი ეინჯი, თავადაც ძირძველი ბოსტონელი და 80-იან წლებში ლარი ბერდის თანაგუნდელი 5-გზის ოლსტარელი პოლ პირსიც „მარადმწვანე“ (კლუბის ფერი) ბოსტონელია, ამ გუნდთან 8 სეზონი მოილია და ამ ხანში 600-მდე თამაშში საშუალოდ 23 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი დაუგროვდა. ბოლო სეზონში ის 26,8 ქულას, 6,7 მოხსნასა და 4,7 პასს აკეთებდა.

კოტე ყორშია

ლიგა გასუპერდა

საქართველოს ჩემპიონატი მეორედ იბადება: ცოტა გუნდი, ბევრი ფული

სულ მალე ეროვნული ნაკრები განახლებული სამწვრთნელო შტაბით შეიკრიბება და კალათბურთის ფედერაციის მთავარი საზრუნავიც ახლა ამ საქმის კარგად ორგანიზებაა. თუმცა მხოლოდ ნაკრების მზრუნველობით როდი შემოიფარგლებიან ფედერაციაში. 2006-07 წლების სეზონისთვის მზადება უკვე დაწყებულია და საქართველოს ჩემპიონატში არაერთი სიახლე მზადდება.

მთავარი ამბავი ისაა, რომ იქმნება საქართველოს პროფესიული კალათბურთის ლიგა — ეგრედ წოდებული სუპერლიგა. ეს იქნება კალათბურთის ფედერაციის შიგნით არსებული ორგანო, რომლის მთავარი საზრუნავიც ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზება იქნება.

სუპერლიგის წესდება უკვე შედგენილია. იგი ფედერაციის აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს, თუმც, სანამ ეს მოხდება, მანამდე სუპერლიგაში თამაშის სურვილის მქონე კლუბებთან უნდა გაიმართოს კონსულტაციები.

სუპერლიგა იქნება ყოველნაირად ორგანიზებული ტურნირი და მასში, შესაბამისად, ფინანსურად წელგამართულმა გუნდებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

სუპერლიგაში თამაშის მსურველი კლუბი გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი ფინანსური სტაბილურობაა. წინასწარი პროექტით, თუ გუნდმა 40 ათასი ლარის საკრედიტო გარანტია არ წარმოადგინა, სუპერლიგაში ვერ ითამაშებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სამონაწილეო ვადასახადი 4500 ლარია, უნდა ვივარაუდოთ, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა შემცირდება.

ფინანსური დეტალები ჯერ არ დაზუსტებულა, მაგრამ ერთი კი ნაღდია: სუპერლიგა იქმნება და მასში გაცილებით მეტი წესრიგი იქნება, ვიდრე საქართველოში აქამდელ გამართულ ჩემპიონატებში.

როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ახლა სუპერლიგის სანახაობრივი მხარის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა. ასევე



ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი

მოსაგვარებელია ტელეტრანსლაციების გაყიდვის საკითხიც.

წამყვანმა ქართულმა კლუბებმა უკვე გამოთქვეს სუპერლიგაში თამაშის სურვილი, ჯიბეთხელი გუნდების საკითხი კი ჯერაც გაურკვეველია. პრობლემა, ალბათ, სსუსა და „ქუთაისს“ თუ ექნებათ, თორემ დანარჩენ კლუბებს არ უნდა გაუჭირდეთ დებულებით გათვალისწინებული ფინანსური გარანტიების წარმოდგენა.

წინასწარი გათვლით, სუპერლიგა 30 სექტემბერს დაიწყება...

ოთხი ქართველი მეოთხედფინალში

მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე წანასწარი შეხვედრები დასრულდა. ათი ქართველიდან მეოთხედფინალში გაღწევა ოთხმა შეძლო. კონსტანტინე კუპატაძეს (60 კგ) და კახაბერ ჟვანიას (69 კგ) მეოთხედფინალის საგზურები გუშინდლამდე ჰქონდათ განაღდებული, გუშინ კი მათ ნიკოლოზ იზორია (54კგ) და რევაზ ქარელიშვილიც (75 კგ) შეუერთდნენ.

იზორიას რვა საუკეთესოში შესასვლელად ერთი ბრძოლა დასჭირდა — სერბ ანდრეა ბოგდანოვიჩს 35:20 მოუგო. ქარელიშვილმა კი მეორედ მოირგო ხელთათმანები და ამჯერად სომეხი ანდრანიკ ჰაკობიანი ჩამოიცილა.

მეოთხედფინალები დღეიდან იწყება და რინგზე სამი ჩვენებური ავა. იზორია ხორვატ მირსად ახმეტს შეხვდება, კუპატაძე — ბელარუს ვაზგენ საფარანიანცს, ხოლო ჟვანია — ირლანდიელ როი შეაჰანს. ქარელიშვილი კი ნახევარფინალში გასასვლელად ხვალ იჩხუბებს უკრაინელ ოლექსანდრ უსიუკთან.

ოთარ მაღლაკელიძე

ერთიც და კატიკოსი

შავი ზღვა ივაკიამასაც ემლაშა

ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ ნაგოიას ბაშოზე ზედიზედ მეოთხე, სულ კი მეშვიდე ქულა აიღო და დადებითი ბალანსის — კატიკოსის განაღდებამდე ერთი მეტოქის წაქცევაღა უკლია. დასავლეთის მეხუთე მაეგაშირად წოდებული ჩვენებურის გუშინდელი „მსხვერპლი“ თავისზე ლამის ნახევარი ცენტნერით მძიმე ექსკომუსები ივაკიამა გახდა. დღეს „შავი ზღვა“ კორეის სტუდენტური ჩემპიონატის მომგებ კასუგაოს დაეჭიდება.

ბაშოს ორი მესამედი უკან დარჩა. ფინიშამდე ხუთი ტურია და იმპერატორის თასისთვის მებრძოლებიც უკეთ გამოიკვეთნენ. მთავარი ფავორიტი კვლავ მონღოლი „ცისფერი დრაკონი“ ასასიორუა. ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი იოკოძუნა უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ასპროცენტიანი მაჩვენებლით — ათი ქულით ლიდერობს. გუშინ მან უმძიმესი სეკიტორი, 182-კილოგრამიანი სეკივაკე მიაბიამა დასცა.

იოკოძუნას ზურგსუკან ყველაზე ახლოს ცხრაქულიანები — ოძეკი ტიოტაიკაი და ორი რიგითი მაეგაშირა: ტამანოსიმა და ტამაკასუგა დგანან. ოძეკებს — ტოჩიაძუმასა და ხაკუხოს კი რვა-რვა ქულა აქვთ.

გუშინ ტიოტაიკაიმ კორპუსში ხელის კვრით — ცუპარებით გადააგდო ხალიჩიდან „ბალკანელი გულივერი“ კოტოოსიუ. ტამანოსიმამ და ტამაკასუგამ კი დაბალრეიტინგიანი მეტოქეები — კასუგაო და ტოჩინოხანა დაამარცხეს.



ცუნატორის, ანუ იოკოძუნობის კანდიდატის არაოფიციალურ სტატუსს ჯერაც ინარჩუნებს 21 წლის ოძეკი ხაკუხო. თხუთმეტტურიან მარათონში ცამეტი ქულის დამგეგმავი მონღოლი მეათე ტურში ძლიერ ესტონელ ბალტს დაეჭიდა და ლამაზადაც მოუგო. ორი დღის წინ ასასიორუს მხარდამხარ მებრძოლი ტოჩიაძუმა კი, როგორც ჩანს, საბოლოოდ გატყდა. ზედიზედ მეორე მარცხი მას გუშინ 33 წლის ოძეკი კაიომ აწვნია.

დღეს მეთერთმეტე ტურია. ტოჩიაძუმა ასასიორუს გაჩერებას შეეცდება. ცნობისთვის, იგი ერთადერთი კაცია მიმდინარე ბაშოზე, რომელსაც „ცისფერ დრაკონთან“ ბრძოლებში უარყოფითი ბალანსი არ აქვს. აქამდე 20-ჯერ შეხვედრია და 10-ჯერ მოუგია. ტიოტაიკაი ბალტის პირისპირ დადგება. ხაკუხო კი აქამდე ექვსგზის წაქცეულ კოტოოსიუს მეათედ შეხვდება.

სამტურიანი დისკვალიფიკაციის ვადა ამოწურა რუს როხოს. დასავლეთის მესამე მაეგაშირად წოდებულ „რუსულ ფენიქსს“ სუმოს ასოციაციის შეფებმა მორიგი სერიოზულ გამოცდა მოუმზადეს 22 წლის კოტოსიოგინკუს სახით. ბაშოს მიმომხილველი ოფიციალური ვებ-გვერდი ზუსტ სტატისტიკას არ აქვეყნებს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ამ წყვილში ურთიერთშეხვედრების მიხედვით აშკარა ფავორიტი კოტოსიოგინკუა.

როხოს მთავარი ამოცანა დარჩენილ ხუთ ტურში ოთხი ქულის აღება და კატიკოსის შესრულებაა. მისმა ღვიძლმა ძმამ ხაკუროზანმა კი ამის შანსი მეათე ტურში დაკარგა და რეიტინგში რომ დაბლა დაეშვება, აქედანვე ცნობილია. ახლა იმაზე უნდა იშრომოს, მინუს-ბალანსი მაქსიმალურად მეტად შეიმციროს.

ოთარ მაღლაკელიძე

ეკატერინა ფეოფანოვა

უაუზო ნაკრები ევრობურთში

ახალგაზრდა წყალბურთელების ბუნდოვანი პერსპექტივა

საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ჩვენი ქვეყნის უმძიმეს წლებში ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირებში შეხვედრას შეხვედრაზე აგებდა, თანაც დიდი ანგარიშით. მერე ვითარება თანდათან გამოსწორდა და თუ მაინცდამაინც დამარცხება იყო, ეს უკვე თანაბარ ბრძოლაში ხდებოდა, ბოლოს კი იმდენი მოვახერხეთ, რომ შესარჩევი ტურნირებიც დავძლიეთ.

და აი, წლეულს საქართველოს ნაკრები მეხუთედ ითამაშებს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე, რომელზეც ხვალ გამთენიისას მიემგზავრება.

ჩვენს გუნდს რომ მზადების ნორმალური პირობები ჰქონოდა, ამ ჩემპიონატს დიდ იმედებსაც დავუკავშირებდით, ახლა კი...

დავიწყოთ იმით, რომ ეს გუნდი რეალურად საქართველოს კი არა, თბილისის ნაკრებია, რაკი მრავალი წელია, ჩვენს ქვეყანაში წყალბურთს, პრაქტიკულად, აღარსად მისდევენ. მეორეც, თავად თბილისში იმდენად ცოტანი თამაშობენ წყალბურთს, რომ ქალაქის პირველობაც კი სანატრელი გახდა.

ისე, კაცმა რომ თქვას, სად უნდა ითამაშონ, როცა წყალბურთის სარბიელის შესაბამისი აუზი ჩვენს სპორტსმენებს არც მოეძევებათ. თუ სადმეა ასეთი აუზი, იქ წყალბურთელებს არ უშვებენ. ასეთ პირობებში ჩვენი ახალგაზრდული გუნდის წევრები თანატოლთა შორის ხან რუსეთის პირველობაზე გამოდიან, ხან უკრაინის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში იბრძვიან და ერთგანაც და მეორეგანაც წარმატებებს აღწევენ. ამასთან, ჩვენი ნაკრების წევრებს იქაურ გუნდებშიც იწვევენ და ამ საქმიდან ხეირი ისაა, რომ ჩვენს ლეგიონერებს იქ მაინც ეძლევათ ვარჯიშის კარგი პირობები და განვითარების პერსპექტივა.

აი, ახლაც, ევროპის პირველობისთვის საქართველოს სამი მოსკოველი ლეგიონერი ჰყავს: მაიაკელი გიორგი ხვედელიანი, დინამოელი მიხეილ ბაღათურია და ცსკს წევრი ზურაბ რურუა.

მათ გარდა გუნდში არიან თბილისელები: სანდრო ნამორაძე, ბექა ქენქაძე, სანდრო რუსიშვილი, ნოდარ რაფავა, ვასილ ლუტიძე, დავით ბაქრაძე, გიორგი ცირეკიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი და დავით ქაჯაია.

როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ გვითხრა, გუნდის წევრები ჯანმრთელად და კარგად არიან. ერთი ეგაა, ბექა ქენქაძეს უკრაინის ჩემპიონატში ერთი თვის წინ მიღებული ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია, თუმც იგი ალბათ სამივე შეხვედრაში გამოვა.

სამწუხაროდ, როგორც ვიუწყებოდით, უკრაინის ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი გუნდისთვის არც რაიმე ტურნირში მონაწილეობა მოხერხდა და ვერც სპარინგპარტნიორის თბილისში ჩამოყვანა. შესაფერისი ზომის აუზში დაგეგმილი ორჯერადი ვარჯიშებიც ჩაიშალა.

ასე რომ, ჩვენი გუნდის პერსპექტივა ბუნდოვანია.

საქართველოს ნაკრებს პირველი შეხვედრა რუმინელებთან ელით. ეს გუნდი შარშანდელ ჩემპიონატზე მეხუთე იყო, ახლა კი, როგორც მასპინძელი, უფრო ზემოით იყურება და, ამდენად, ჩვენს ბიჭებს უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

საინტერესოა, რომ შარშან საქართველოსა და რუმინეთის გუნდების გზები ევროპის პირველობის შეარჩევ ტურნირში გადაიკვეთა და ჩვენიანები 3 ბურთის სხვაობით დამარცხდნენ.

ორადეაში საქართველოს ნაკრებს მეორე ბრძოლა ფრანგებთან მოუწევთ, რომლებსაც აქამდე არ შეხვედრიან.

ჩვენს ბიჭებს ჯგუფში ბოლო, მესამე შეხვედრა უნგრელებთან ექნებათ, რომლებიც შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორები არიან.

ავთანდილ ბუკიშელი

ბადრი ჯეიანელიძის ფოტო

ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე პოლონელთა დამარცხებასაც შეეცდებიან

ნუ დაუჯერებთ რეიტინგს ევროაფრიკული საქმე პოლონეთში გაირჩევა

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები პოლონეთშია და დევისის თასის მატჩისთვის ემზადება. გელა ელერდაშვილის ბიჭები 21-23 ივლისს ქალაქ გდანსკში მეორე ევროფრიკული ჯგუფის მეორე წრეში მასპინძლებს დაუპირისპირდებიან. პარასკევს და კვირას ერთეულთა თამაშები ჩატარდება, შაბათს კი წყვილთა შეხვედრაა. მოგებულს ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ასასვლელად ერთი ნაბიჯიღა დარჩება.

„უკვე მეორე დღეა, ჩვენი გუნდი სრული შემადგენლობითაა შეკრებილი — გვითხრა გუშინ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ლალი ზერეკიძემ** — კაპიტანმა გელა ელერდაშვილმა თან 17 წლის გიორგი ჭანტურია იახლა. ნაკრების პირველი-მეორე ნომრები — ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე თავად ჩავიდნენ პოლონეთში. გდანსკში საკმაოდ ძნელი შეხვედრები გველის. თუ მასპინძლებს ვაჯობეთ, ბულგარეთსა და უნგრეთს შორის გამარჯვებულთან გავარკვევთ პირველი ევროაფრიკული ჯგუფის საგზურის ბედს.“

დევისის თასის მიმომხილველმა ოფიციალურმა ვებ-გვერდმა უკვე პოლონელების შემადგენლობაც გამოაქვეყნა. გუნდის ლიდერი, 24 წლის ლუკაშ კუბოტი, 318 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს რეიტინგსიაში 139-ე ადგილზეა. ATP-ის ეგიდით კარიერაში 16 მატჩი აქვს ჩატარებული და 9-ჯერ მოგებული. წლეულს კი კორტზე მხოლოდ ორჯერ გავიდა და ერთხელ იმარჯვა. პროფესიონალებში 2002 წლიდან თამაშობს და ჯერ არანაირი ტიტული არ მოუპოვებია. კუბოტს ჩოგბურთით 224 ათასი დოლარი აქვს ნაშოვნი. დევისის თასზე მისი ბალანსი გაცილებით შთამბეჭდავია — 16 მოგება 20 შეხვედრაში.

ჩვენი ლიდერი, 25 წლის ირაკლი ლაბაძე, რეიტინგსიაში კუბოტზე ათი ადგილით დაბლა კი დგას, მაგრამ საერთო სტატისტიკით მასზე ძლიერიცაა და გამოცდილებაც მეტი აქვს. პოლონელზე დაახლოებით მილიონით მეტი აქვს გამომუშავებული. ATP-ს ეგიდით კი 125 მატჩში 45-ჯერ მოუგია, წლეულს 6-ში 4-ჯერ. დევისის თასზეც უკეთესი ბალანსი აქვს — 18 შეხვედრიდან მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

რეიტინგის მიხედვით, მეორე-მესამე ნომრებშიც პოლონელების უპირატესობა იკვეთება. 22 წლის მიხაილ პრზისეჟნი 352-ე ადგილზეა. 21 წლის ლადო ჩიხლაძე — 501-ეა. გიორგი ჭანტურიას ჯერ არც დევისის თასზე უთამაშია და სარეიტინგო ქულებიც არ აქვს. იგი ახლაც სათადარიგო იქნება და, ალბათ, კორტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა, თუ რომელიმე ნაკრები ვადაზე ადრე გაინაღდებს გამარჯვებას. მასპინძელთა მესამე-მეოთხე ნომრებს — 26 წლის მარიუშ ფირსტენბერგსა და 25 წლის მარსინ მატკოვსკის კი სადევისთასო გამოცდილებაც აქვთ და რიგიანი დადებითი ბალანსებიც.

პოლონეთი — საქართველოს პარალელურად ბულგარეთი — უნგრეთიც გადააჯვარედინებს ჩოგნებს. ელერდაშვილის გუნდს პოლონეთის გავლის შემთხვევაში მომავალ მეტოქედ ბულგარეთი უნდა ერჩინოს. თუ მართლა ასე მოხდა, გადამწყვეტი შეხვედრა, საქართველო — ბულგარეთი, 22-24 სექტემბერს თბილისში გაიმართება.

ოთარ გაღლაკელიძე

სეერენას ტასტი გამოსცდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები

შტუტგარტი. გერმანია თიხნარი

საპრიზო 586 250 €

პირველი წრე

ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 5:7 6:3 6:3; **ანდრეა სეპი** (იტალია) — დიკ ნორმანი (ბელგია) 7:6 6:4; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — მიხაილ ბეკი (გერმანია) 6:4 6:3 6:3; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ლუკაშ დლუში (ჩეხეთი) 6:7 6:3 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — სებასტიან რიშიკი (გერმანია) 4:6 6:3 6:1; **დიეგო ჰარტფილდი** (არგენტინა) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 3:6 7:6 6:4; **დიეგო ხუნკუეირა** (არგენტინა) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 6:3 2:6 7:6; **ჰუგო არმანდო** (აშშ) — დიტერ კინდლმანი (გერმანია) 6:4 6:3

კაცები

ამესფოორტი. ჰოლანდია. თიხნარი. საპრიზო 323 250 €

პირველი წრე

დანიელე ბრაჩიალი (7, იტალია) — იგორ სისლინგი (ჰოლანდია) 6:7 6:4 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:0 6:3; **ხუან-ანტონიო მარინი** (კოსტა-რიკა) — დავიდ სანგინეტი (იტალია) 6:2 7:5; **ედგარო მასა** (არგენტინა) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:4 6:3; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:7 6:3 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (2, საფრანგეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:0 6:3

კაცები

ინდიანაპოლისი. აშშ. ჰარდი

საპრიზო 575 000 $

პირველი წრე

სემ ქუერეი (აშშ) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:4 6:7 6:4; **რიკარდო მელო** (ბრაზილია) — ჟან-რენე ლისნარი (მონაკო) 7:5 7:5; **რაზვან საბაუ** (რუმინეთი) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:3 6:4; **ალეხანდრო ფალა** (კოლუმბია) — ჟან-კრისტოფერ ფორელი (საფრანგეთი) 6:4 6:2; **პოლ კაპდევილი** (ჩილე) — ტომაშ ბერენდი (გერმანია) 6:2 6:0; **ჯეფ მორისონი** (აშშ) — სანტიაგო გონსალესი (მექსიკა) 6:2 6:2; **რამონ დელგადო** (პარაგვაი) — ამერ დელიკი (აშშ) 4:6 6:2 7:6

ქალები

ცინცინატი. აშშ

საპრიზო 175 000 დოლარი

პირველი წრე

პატი შნიდერი (შვეიცარია) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 5:7 6:2 7:6; **კატარინა სრებოტნიკი** (4, სლოვენია) — მელინდა ჟინკი (უნგრეთი) უარრ; **ემა ლეინი** (ფინეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:3 6:1; **ემი ფრეიზერი** (აშშ) — ჯესიკა კირკლენდი (აშშ) 6:3 6:4

ქალები

პალერმო. იტალია. თიხნარი

საპრიზო 145 000 დოლარი

პირველი წრე

მიქაელა კრაიჩეკი (3, ჰოლანდია) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:1 6:7 7:5; **ანა სმაშნოვა** (5, ისრაელი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:3 6:2; **კლარა კუკალოვა** (6, ჩეხეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:4 6:2; **რობერტა ვინჩი** (იტალია) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:2 6:1

საჩოგბურთო სამყარო ოკეანისგაღმეთისკენ იმზირება — ამერიდან ეპიცენტრი აშშ-კანადაში გადაინაცვლებს. ჩოგბურთელთა ნაწილმა უკვე მიაშურა ახალ სამყაროს, რათა პატარ-პატარა ტურნირებზე მიეჩვიოს იქაური ჰარდს და ჯერ მასტერსებს, შემდეგ კი წლის ბოლო სლემტურნირს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. აი, მეორე ნაწილი კი ბებერ კონტინენტს, უფრო კი თიხნარს ვერ ელევა — ეს კვირაც და გრუნტის კორტებს ყველა მომავალ წლამდე გამოემშვიდობება.

ევროპული ტურნირებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო შტუტგარტში უნდა გვენახა, მაგრამ იქ რაფაელ ნადალმა ჩასვლა ვერ შეძლო და შეჯიბრსაც ხიბლ მოაკლდა. ესპანელ ჯადო ბიჭს მხარი სტკიებია და ექიმებს დასვენება გამოუწერიათ.

არანაკლები სიდიდისა თუ მნიშვნელობის ტურნირს ინდიანაპოლისიც მასპინძლობს, მაგრამ იქ განთესილ-ფავორიტები ჯერ ისვენებდნენ და ასპარეზიც ნაკლებ ცნობილთათვის დაუთმიათ.

სამაგიეროდ, ფავორიტები ჰოლანდიურ ამერსფოორტში თავიდანვე ჩაერთვნენ საქმეში. პირველივე სათამაშო დღეს ჩოგნის ქნევა ტურნირის მეორე და მესამე ნომრებს — პოლ-ანრი მატიოსა და ნოვაკ ჯოკოვიჩს მოუწიათ. უნდა ითქვას, რომ ორივემ წარმატებით იჩოგნავა და, რაც საინტერესოა, ერთნაირი ანგარიშით იმარჯვა, 6:0 6:3 — ფრანგი ასე დაუნდობლად ალესიო დი მაუროს გაუსწორდა, ჯოკოვიჩმა კი თანამემამულე პაშანსკი არ დაინდო.

ქალებმაც კაცებს მიჰბაძეს, ზოგი ევროპაში დარჩა, დიდმა ნაწილმა კი ამერიკას მიაშურა.

მძიმედ დაიწყო ცინცინატიში საჩრშანდელმა ტრიუმფატორმა პატი შნიდერმა. შვეიცარიელმა მასპინძელ ლილია ოსტერლოჰთან ბევრი იწვალა, სეტიც წააგო და გადამწყვეტ პარტიაში ტაიბრეიკამდეც მიიყვანა საქმე. აქ კი შნიდერის კლასი თვალში საცემი იყო და. შემდეგ წრეშიც ის ითამაშებს.

თუმც ცინცინატიში ჯერჯერობით ყველა გაყუჩებულია, რადგანაც დიდ მოვლენას — სერენა უილიამსის ჩოგბურთში მობრუნებას ელიან. ტრავმების გამო უმცროსი უილიამსი კორტზე ლამის წელიწადია, არ გასულა. ამიტომაც საინტერესოა, თუ როგორ ფორმაში იქნება. ეს კი პირველივე მატჩში გამოჩნდება, რადგანაც ამერიკელს მეტოქედ ანასტასია მისკინა ეყოლება და ყველა ამ ჯახის მოლოდინშია.

ძახა ლომაშვილი



პატი შნიდერმა წვალებით, მაგრამ მაინც მოიგო

93-ე ტურ დე ფრანსი. 2006, 1-23 ივლისი

შლეკური გაქცევა

ფრანკ შლეკი დამიანო კუნეგოს გაექცა

თუ ფლევანდელი „ტურ დე ფრანსი" შვეიცარიული „ფონაკის" ამერიკელმა მრბოლმა ფლოიდ ლენდისმა მოიგო და ამის ალბათობა პირველი ალპური ეტაპის შემდეგ საკმაოდ დიდია, შეგვეძლება ვთქვათ, რომ „ტურს" გარკვეულწილად უფერული ჩემპიონი ჰყავს და წლევანდელი რბოლა მავანთა მოკვეთისა და სხვათა ტრავმების შემდეგ მართალც უსახური გამოვიდა.

არა, ლენდისი ძალიან ძლიერი ველოსიპედისტია და ამ წუთისთვის სამართლიანადაც ფლობს ლიდერის ყვითელ მაისურას, მაგრამ ამ ამერიკელს აშკარად აკლია დიდი ჩემპიონების ხიბლი. ლენდისი სტაბილურია — ინდივიდუალურ რბოლაშიც კარგია, მთებშიც ყოჩაღად დადის, მაგრამ მას სიკაშკაშე არა აქვს და არ ძალუბს, თავისი განუმეორებელი კვალი დატოვოს ისტორიაში.

სტაბილურმა და უაღრესად პრაგმატულმა იანკიმ გუშინაც მშვენივრად იასპარეზა ურთულეს ალპურ ეტაპზე, რომლის გზაზეც ორი უმაღლესი და ერთი მეორე კატეგორიის მთა იყო და რომლის ფინიშიც, ისტორიაში, უკვე 25-ედ ლეგენდარულ ალპ დუზზე იყო. დიახ, ლენდისი მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას, მაგრამ მას რაღაც არ ემჩნეოდა შეტევაში წასვლისა და მეტოქეების დანოკაუტების სურვილი. მთავარი ის იყო, რომ თანაგუნდელების დახმარებით რბოლის მოულოდნელი ლიდერი, ესპანელი ოსკარ პერეირო საჭირო მანძილზე ჩამოიტოვა და არც უმთავრეს კონკურენტებს, პირველ რიგში კი ანდრეას კლოდენსა და დენის მენშოვს მისცა გაქცევის საშუალება.

„ფონაკის" ბოსებმა მშვენივრად დაგეგმეს რბოლა და, როდესაც ეტაპის პირველი და უმაღლესი მთის, დიზორის მისადგომებთან პელეტონს რამდენიმე კაცი მოსწყდა, გაქცეულთა ჯგუფში უმალ ჩართეს თავისიანი — ლეგენდალური ედი მერქსის ვაჟი აქსელ მერქსი. ამ ჯგუფში იყვნენ მიმდინარე „ტურის" „მთის მეფე" დავიდ დე ლა ფუენტე, ფრანკ შლეკი, ინიგო ლანდალუზი, სილვინ შავენე და, ბუნებრივია, აქსელ მერქსი. მერე გაქცეულებს იტალიელები, „ჯიროს" ძველი ჩემპიონები სტეფანო გარძელი და დამიანო კუნეგო წამოეწივნენ. სწორედ გარძელიმ უწია პირველმა ზღვის დონიდან 2360 მეტრზე მდებარე დიზორის მწვერვალს და ეს ჯგუფი კარგა ხანს, ლამის ალპ დუზის აღმართამდე გვარიანად უსწრებდა პელეტონს, რომელიც ამასობაში მარტივ მამრავლებად დაიშალა.

ალპ დუზის აღმართში წინ ორნი — ლუქსემბურგელი შლეკი და კუნეგო გავარდნენ და მერე მათ იტალიელი ედი მაცოლენიც შეუერთდა. უფრო საინტერესო კი სხვა სამეული იყო ლენდისის, კლოდენისა და კედელ ევანსის შემადგენლობით. კლოდენმა რამდენჯერმე სცადა შეტევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამასობაში ევანსი ჩამორჩა და მისი ადგილი ესპანელმა კარლოს სასტრემა და ამერიკელმა ლევი ლეიფემერმა დაიკავეს. ამასობაში ეს კვარტეტი მოწინავეთაგან მიტოვებულ მერქსს წამოეწია და დიადი ბელგიელის შვილმა რამდენიმე კილომეტრზე, როგორც ნამდვილ გრეგარის შეჰფერის, ისე ატარა ლენდისი.

მერე სასტრე და ლეიფემერი ისევ ჩამორჩნენ და ამასობაში დამხმარე, უკვე კლოდენს გამოუჩნდა მაცოლენის სახით. ნელ-ნელა ამ ჯგუფმა სხვა წინ მყოფებიც ჩაყლაპა ორის გარდა — შლეკმა და კუნეგომ აღებულ ტემპს ბოლომდე გაუძლეს და უკვე ალპ დუზის ქუჩებში ლუქსემბურგელმა გრძელი საფინიშო სპურტით ჩამოიტოვა თანამგზავრი და კარიერაში პირველად მოიგო „ტურის" ეტაპი.

ლენდისმა შლეკთან წუთზე მეტი წააგო, მაგრამ თავისი საქმე გააკეთა — ოსკარ პერეიროსთან ჩამორჩენა ამოქაჩა და აქეთ აჯობა პლუს 10 წამით, კლოდენს გაქცევის საშუალება არ მისცა, მენშოვთანაც წუთზე მეტით გაზარდა უპირატესობა და ყვითელი მაისურა დაიბრუნა.

პერეირო ამერიკელთან მხოლოდ 10 წამს აგებს, მაგრამ ეს ესპანელი ძნელად. ლენდისის კონკურენტად რომ მივიჩნიოთ, სხვები კი ლიდერს, უკვე 2 წუთზე მეტით ჩამორჩებიან და ახლა დღევანდელი დღის იმედზე არიან — დღეს ხომ ალპებში კიდევ ერთი ურთულესი ეტაპია წლევანდელი „ტურის" უმაღლესი, 2646 მეტრიანი გალიბიერის მთითა და კიდევ ერთი უმაღლესი და ერთიც პირველი კატეგორიის მწვერვალით.

გია მუჯირი

ფლოიდ ლენდისმა (მარცხნივ) ანდრეას კლოდენი წინ არ გაუშვა

18 ივლისი. მე-15 ეტაპი. გაპი — ალპ დუზი. 187 კმ

1. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	4სთ. 52წთ. 22წმ
2. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+10წმ
3. სტეფანო გარძელი (იტალია, ლიქუიგასი)	+1წთ. 10წმ
4. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+1წთ. 10წმ
5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+1წთ. 10წმ

საერთო ჩათვლა

1. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	69სთ. 0წუთი. 15წმ
2. ოსკარ პერეირო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+10წმ
3. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	+2წთ. 2წმ
4. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+2წთ. 12წმ
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+2წთ. 17წმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაისა ბერგკვისტმა სეზონის რეკორდი დაამყარა

კაია კაისა

მძლეოსანთა სოლიდურ ტურნირს უმასპინძლა გუშინწინ მადრიდმა. ესპანეთის მთავარქალაქში ცნობილი სახეები ათეულობით ჩავიდნენ და თუმცა შეჯიბრმა მსოფლიო რეკორდის გარეშე ჩაიარა, მაინც გვარიანი სანახავი გამოვიდა.

მთავარი მოვლენა 800 მეტრზე სირბილი იყო, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონი, კენიელი უილფრედ ბუნგეი და ცისქვეშა 800 მეტრის — და ასევე 1500-ის — მეფე, ბაჰრეინელი რაშიდ რამზი. მათ გვერდს უმშვენებდა კიდევ ორი ისეთი მორბენალი, რომელიც წლეულს წუთსა და 43 წამს ჩამოსცდა.

ბუნგეიმ მოიგო. კენიელი თავიდანვე ფეხდაფეხ მიჰყვა დროებით ლიდერს და ერთ წრეს 50 წამზე ოდნავ მეტი მოანდომა. მეორე წრეზე სულ ოდნავ დააგდო ტემპი, მაგრამ ფინიშთან მაინც პირველმა მიირბინა — წუთი და 43,69 წამი აჩვენა. კენიელმა ზედიზედ მეოთხე ტურნირი მოიგო, თან ბოლო ორ კვირაში, რომელთა შორისაა ლოზანას სუპერ გრან პრი და ოქროს ლიგის პარიზული ეტაპი და ოთხჯერვე ჩამოსცდა 1:45-იან ზღვარს.

რაც შეეხება რამზის, ის წელს პირველად დარბოდა 800 მეტრზე და მთლად მსოფლიო რეკორდის დამამხობელის ფსიქოლოგიით ვერ გავიდა სარბენ ბილიკზე. მთელი გზა სადღაც უკან მირბოდა და თუმცა შემონახული ძალები ბოლო 200 მეტრზე ამოაფრქვია და გვარიანი სპრინტიც მოაწყო, 1:44.05 შედეგით მხოლოდ მეორე ადგილი შეხვდა.

„მართალი გითხრათ, ცოტა ფორმაში ვერ ვიყავი და არც პირადი რეკორდის გაუმჯობესებას ვგეგმავდი. მომავალ ტურნირზეც 800 მეტრს ვირბენ, მაგრამ წლეულს 1500 მეტრისკენ უფრო ვიყურები — ჰიშამ ელ გურუჯის მსოფლიო რეკორდი უნდა დავამხო. 3:26 გადასარევი შედეგია კილომეტრნახევარზე, მაგრამ მიულწეველ დროდ ნამდვილად არ მეჩვენება და მის დამხობას ციურიხში ან ბრიუსელში ვცდი" — ამბობს რამზი, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე 800 მეტრიც მოიგო და 1500-იც. დიდ ტურნირზე (მსოფლიოს ჩემპიონატი ან ოლიმპიადა) ბოლოს ამ ორი სახეობის ერთად მოგება 1964 წელს პეტერ შნელმა შეძლო.

იქვე, მადრიდში, სამ ნახტომში 15-მეტრიან ნიშნულს იქით ისკუპა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, რუსმა ტატიანა ლებედევამ. ის ფეხის სამი დაკვრის შემდეგ 15,02 მეტრზე დაეშვა, რაც ქალებში გვარიანი შედეგია.

კაცებმა კი ასევე საშხტომში, ოღონდ მადრიდიდან კარგა შორს, მანჩესტერში 17 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე ისკუპა ბრიტანელმა ფილიპ იდოუმ და შვედი კრისტიან ოლსონის (17,62) შემდეგ მეორე ევროპელი გახდა, რომელმაც წლეულს 17,5 მეტრი გადალახა.

მომცრო შვედურ ქალაქ სოლენტუნაში სეზონის საყოველთაო რეკორდი გამოაცხო იქაურმა სიმაღლეზე მხტომელმა კაისა ბერგვისტმა. ქალბატონმა ბერგვისტმა 2,04 მეტრიან თამასას გადააჯდო თეძოწელი და რომ დაეშვა, გახარებულმა ისიც თქვა, ისე მსუბუქად ავფრინდი, მჯერა, თუ ასე ფრენა გავაგრძელე, ორ-სამ კვირაში სამსოფლიორეკორდო 2,10 მეტრიან თამასასაც შევუტევო.

კოტე ყორღია

ფილიპ იდოუ

AFP

მალუდა, მალუდა!

სამხრეთ ამერიკის კონტინენტის კენწერო; ბრაზილიასა და სურინამს შორის ჩამალული პატარა ქვეყანა საფრანგეთის გვიანა; მთავარქალაქი კაიენა... აქ დაიბადა, ფეხი აიდგა და ბურთი გააგორა დღეს დედა საფრანგეთის ნაკრებში მოთამაშე ფლორენ მალუდამ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე იყო. საფრანგეთი იქ იტალიამ და ბედისწერამ დაამარცხეს, მალუდას კი სამშობლო როგორც გმირს, ისე ეგებება. დღეს ის ამ პაწაწინა ტყიანი ქვეყნის უცნობილესი შვილია. სხვათა შორის, მას სულ ცოტა ხანში საქართველოშიც ვიხილავთ.

მორბენალი ჩინური კედელი

ვისაც ჩინელ კალათბურთელ იაო მინის ამბავი გსმენიათ, იოლად დაიჯერებთ, რომ ეს არაა ფოტომონტაჟი. 226-სანტიმეტრიანი იაო ალბათ იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე წონოლა მოთამაშე იქნება.



AFP

AFP

ერთი ლუკმა ნაყინი

გოლფის თეთრი ბურთი დაგორავს მსოფლიოს უხასხასეს მწვანე მინდვრებზე. ზაფხული ამ სპორტისაა. ცხელა. ესპანელ სერხიო გარსიასაც ერთ ლუკმად ეჩვენება ამხელა ნაყინი. ლივერპულში კი უგრანდიოზულესი „ბრიტიშ ოუფენი“ ხურს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge